ეროვნული ბიბლიოთეკა







645
1970

თებერვალი
№ 2 1970 წ.

# საბჭოთა ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს სახელოვანი პოეტი ირაკლი აბაშიძე 60 წლისაა

## აქ დავსახლდები

ამიერიდან აქ დავსახლდები,
ჩემი ქვეყანა არის გურია;
სტუმარს. მოყვარეს აქვე დავხვდები,
მე სხვა სამშობლო აღარ მწყურია.
ქვილი ბაშლიყით თავდახურული,
ვითომც წინაპარს უსახსოვრია;
ვიცხოვრებ. როგორც გლეხი გურული,
როგორც ძიმითელ კაცს უცხოვრია
მაგრამ რა ვუყო ჩემს ტკბილ იმერეთს
გეგუთს კარციხეს. ალისუბანსა
ოქროს ბავშვობას. სიზმრებს სიმღერებს.
ქრმობას. ოცნებებს თავისუფალსა
ოდიშს რა ვუყო. ზღვისფერ ჭალაკებს...
ისაც მკვიდრია. ისაც ჩემია
ზუგდიდს, სალხინოს. რუხს. ნოქალაქევს
გავცლივარ. — სული იქ დამრჩენია.
წინ გამფენია. ვით აბრეშუმი,
ტყეთა შრიალში. მთების ალერსში
ტკბილი ქვეყანა — რაჭა-ლეჩხუმი,
შქმერი. ორბელი ნაკურალეში.
იმ მთებს რა ვუთხრა, ცას შეჭიდებულს.
გაუთავებელ ზვრებს და მაღლარებს...
კახეთს რა ვუყო. კახეთს დიდებულს,
დიდი ალაზნის ცვრიან ველნარებს
ახალ აფხაზეთს. მზიურს ზღვისეულს;
ძველი მესხეთის ცის დამშვიდებას;
ქართლს — საქართველოს დედას ღირსეულს,
აწმყოს, წარსულის, ხვალის დიდებას.
რომელ ერთს ვუთხრა: შენ მემეტები, —
ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,
ყველა ტრამალი. მთები. ქედები
ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.
ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდე,
ჩვენი ხორცია. ჩვენი გულია
და ნუ გაოცებს — თვისკენ გეძახდეს
იქით კახეთი აქეთ გურია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირველი შეხვედრა

**ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის**

ამხანაგმა სტალინმა 1921 წლის 15 თუ 16 თებერვალს დამიბარა და მაცნობა, რომ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში გლეხთა აჯანყებაა; ეს აჯანყება სწრაფად იზრდება, ასე რომ საქართველო უკვე საბჭოთა ქვეყანა ხდებაო. ამასთან დაკავშირებით წინადადება მეძლეოდა საქართველოში წავსულიყავ, თანაც წინასწარ უნდა მენახა ვ. ი. ლენინი.

მთელმა ამ ამბავმა აღმაფრთოვანა. ეს ნიშნავდა, რომ ხორციელდებოდა ჩემი სანუკვარი სურვილები და მისწრაფებანი ან, ყოველ შემთხვევაში, ახლოვდებოდა მათი განხორციელება. ჩემს სიხარულს განსაკუთრებით აძლიერებდა მომავალი შეხვედრა დიდ მასწავლებელთან. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებული 1917 წლის აპრილის კონფერენციით, მე საკმაოდ ხშირად მქონდა შესაძლებლობა მენახა და მომესმინა ლენინი, როცა ის გამოდიოდა ყრილობებზე, კონფერენციებზე, თათბირებზე და ა. შ., პირადად მას პირველად უნდა შევხვედროდი.

როგორც ეს შეხვედრა, ისე სიტყვები, რაც მან მაშინ მითხრა, არასოდეს არ წაიშლება ჩემს მეხსიერებაში.

უწინარეს ყოვლისა, მან მითხრა, თქვენი წასვლისათვის ყველაფერი გამზადებულია, ვაგონი და ყოველივე დანარჩენიო. მან მიმითითა, უნდა იჩქაროთო, და რუკაზე მიჩვენა, თუ რომელი მარშრუტით სჯობდა გამგზავრება. „აჯობებდა კავკავზე გავლით საქართველოს სამხედრო გზითო“ (სამწუხაროდ, ეს გზა მაშინ შეკრული იყო ნამქერის გამო, რაც მხოლოდ კავკავში შევიტყვე). შემდეგ მან ხაზი გაუსვა: საქართველო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, მენშევიზმის ქვეყანაა, ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედოთო. უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოთ ეროვნული და მიწის (გლეხთა) საკითხის გადაჭრასო. „თქვენ ახლა იცით რუსეთის გამოცდილებით, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, მაგრამ რსფს რესპუბლიკის გამოცდილების შაბლონურად გადაღება საჭირო არ არის, ნიმუშად აიღეთ ჩვენი გამოცდილება და შეუფარდეთ იგი თქვენს პირობებს“. დასასრულ ვლადიმერ ილიას ძემ მთხოვა სისტემატურად მიგვეწოდებინა ინფორმაცია ყველა უმთავრეს საკითხზე, ამასთან მირჩია შემოგველო საამისოდ განსაკუთრებული შიფრი. მე ეს შიფრი იქვე ჩავწერე და, როგორც მახსოვს, მხოლოდ ერთხელ ვისარგებლე მით, თბილისში ჩამოსვლის პირველ დღეებში.

მესაუბრებოდა იგი აგრეთვე პარტიაში არსებულ მდგომარეობაზე, მომავალ X ყრილობაზე, დაინტერესებული იყო ჩემი აზრით ტროცკის დისკუსიაზე ზინოვიევთან და ა. შ. გამოთხოვებისას გადამეხვია.

18 თებერვალს (ახ. სტ.) სპეციალური ვაგონით სხვა ამხანაგებთან ერთად საქართველოში გამოვემგზავრე. ვაგონში ჩვენ 20-ზე მეტი ამხანაგი ვიყავით, თითქმის ყველა ქართველნი. დიდხანს მივდიოდით. ბაქოში ამხ. ს. ორჯონიკიძე შემოგვიერთდა. თბილისში მხოლოდ 6 მარტს ჩამოვედით.

**ფ. ი. მახარაძე**

---

*) წიგნიდან „ქართველ რევოლუციონერთა მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე“. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. თბილისი, 1970 წ.

11.308
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოლხე-ვრნე-ობა ლენინის სახელო-ბისა

1



2

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ უფრო მშვენდება და ლამაზდება ქართლის სოფლები. მცხეთის რაიონში კეთილმოწყობით გამოირჩევა სოფელი ძალისი. სოფლის კოლმეურნეობა დიდი ლენინის სახელს ატარებს. შეძლებულად ცხოვრობენ ძალისელები. სახლები აქვთ ქვისგან მჭიდროდ ნაგები, ორსართულიანი. ოთახებში უდგათ ტელევიზორი, მაცივარი, პიანინო, თანამედროვე ავეჯი. სოფელშია ლამაზი სკოლის შენობა, (ფოტო № 5), აქვთ აბანო, აფთიაქი, ფოსტა, კლუბსამკითხველო. ძალისში იმრავლა მსუბუქმა მანქანებმა.

დღეს სოფლის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ახალმშენებლობებია. მალე ექნებათ ძალისელებს კომფორტაბელური სასადილო. სოფლის კლუბის მშენებლობაზე თავს არ იზოგავს კალატოზი გურამ ზაქაიძე (ფოტო № 3). სოფელი ხარობს ბავშვებით. მათი ჟივილ-ხივილი აცოცხლებს ზამთრისაგან მიჩუმებულ ბუნებას (ფოტო № 2).

ზამთარშიც არ წყდება მინდვრის სამუშაოები. სოფლის მშრომელები მექანიზაციას იყენებენ ვაზის ჩასაყრელად (ფოტო № 4). კოლმეურნეობის მოწინავე მევენახემა, სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ვარა თუაშვილმა გასულ წელს 1.600 კილოგრამი რძე ჩამოწველა თითო ფურიდან. ვარა კმაყოფილია მიღწეულით, ახალ გეგმებს კი ჩვენთან არ ამხელს (ფოტო № 1).

გეგმები ყველას აქვს სოფელში. ახალმა საკოლმეურნეო წესდებამ მათი ცხოვრება გაალამაზა, კეთილდღეობა მოუტანა, შრომის დიდი ასპარეზი გადაუშალა.

ფოტო დ. იაკობაშვილისა



3



4



5

# ქართული ფრესკები

გაბრიელა მელინესკუ

რუმინელი პოეტი ქალი გაბრიელა მელინესკუ ამას წინათ საბჭოთა კავშირს ეწვია, იყო ჩვენს რესპუბლიკაშიც. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მან საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ სპეციალური წერილი დაწერა და გამოგზავნა მოსკოვში, ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" რედაქციაში. ამ წერილს, რომელიც უახლოეს ხანში დაიბეჭდება „სოვეტსკაია ჟენშჩინას" ფრანგულ გამოცემაში, ჩვენს ჟურნალშიც ვაქვეყნებთ.

(მგზავრის ჩანახატები)

## I. ქართვლის დედა

რომ არ მენახა კავკასიის მთები, ჩემს წარმოსახვაში მაინც აღმოცენდებოდნენ ისინი, ქაღალნი და მკაცრნი, მათ თავზე მორიალე პრომეთეს ეული აჩრდილით. მაგრამ მე კავკასია ვნახე, როცა ჩვენმა თვითმფრინავმა მთების მწვერვალებს გადაუფრინა. ეს იყო საოცარი და სასწაულებრივი სანახაობა, იგი ჰგავდა არწივის გაფრენას, თავისი მსხვერპლისკენ რომ მიექანება.

ქართველი კაცის ვაჟკაცურ ენაზე, რომელიც თითქოს პოეზიისათვის არის შექმნილი, მისტიკურად ჟღერს სიტყვა „თბილისი". მოგვიანებით გავიგეთ, „თბილისი" „ცხელს" რომ ნიშნავდა. მეფე ვახტანგმა, თბილისის დამაარსებელმა, ნადირობის დროს ხოხობი მოკლა. ხოხობი წყაროში ჩავარდა, როცა მოკლული ფრინველი მეფეს მიართვეს, იგი მოხარშული აღმოჩნდა. განაცვიფრა მეფე ამ სასწაულმა, ცხელმა წყაროებმა და ბრძანა — ამიერიდან ამ ადგილს „თბილისი" ეწოდოსო.

აეროპორტი. თვითმფრინავიდან გადმოვდივართ. უკვე იგრძნობა, რომ აღმოსავლეთის კარიბჭესთან ვართ. გვეგებებიან გულითადი, მომღიმარე ადამიანები. ეს ადამიანები მზად არიან გაესაუბრონონ ყველას, რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ ისინი.

ღამის ქალაქი ჰგავს ჭრელ აღმოსავლურ მოზაიკას, ორნამენტს, რომელსაც დასავლეთის კვალი ამჩნევია.

დიდსა თუ პატარა ქუჩას, შესახვევს თავისი საკუთარი სტილი აქვს და ამაყი და ტემპერამენტიანი ხალხის ქარიშხლიანი, მშფოთარე ისტორიის დაღი ამჩნევია.

ხედებით ამ მიწის საცნაურს, როცა თვალს გაუსწორებთ ქალაქის თავზე დიადად აღმართულ ძეგლს — ქართვლის დედას. იგი თითქოს ბროლის მოთეთრო კრისტალებისაგან შეუქმნიათ პროჟექტორების სხივებში რბილ ოქროსფერ შუქს აფრქვევს ირგვლივ. ქართვლის დედავ, შენ გამახსენე ჩემი სამშობლო, ჩემი დედა, რომელმაც სიცოცხლე მიბოძა. ქვეყნის სიმბოლო, განსხეულებული სიმშვიდითა და ღირსებით სავსე ქალი — დედის სახეში, აღორძინებს ძველ ბერძენთა ძეგლებს, ძეგლებს, რომლებშიც განსახიერებულია უბიწოება, სიყვარული, მამაცობა.

მთიდან დასცქერის თავის შვილებს ქართვლის დედა, მზადმყოფი დაიფაროს, დაიცვას ისინი მტრისაგან. რომელიღაც წამში მე მომეჩვენა, რომ იგი პირდაპირ მთების გულიდან ამოიზარდა და ფესვები გაიდგა ყველა მიწაში, სადაც კი ცხოვრობენ მისი შვილები.

## II. თამადა

ადგილები, სადაც კი გაივლი, საცნაური ხდება ხედვისათვის, მაგრამ ადამიანთა შეცნობა მარტო შეხედვით შეუძლებელია. ჩვენ კი როგორ გვინდოდა შეგვეცნო ქართველი თავისი ისტორიული და დღევანდელი ბედით, ჩავწვდომოდით მის ფილოსოფიას, აზროვნებას. ამბობენ ბედი არსებობსო, და თუ ასეა, სწორედ ბედის წყალობა იყო, ქართული პოეზიის საღამოზე რომ მოვხვდით. ეს იყო ნამდვილი ეროვნული დღესასწაული. საქართველოში პოეტებს განსაკუთრებით ცემენ პატივს. საღამოზე ქართველები არამარტო დარბაზში ისხდნენ, ჭგუფ-ჭგუფად იდგნენ კარებთან, გასასვლელებში, შორიდან მაინც რომ მოესმინათ პოეზიის ოქროს სიტყვები. ლექსებს კითხულობდნენ სამშობლოზე, გაისმოდა სტრიქონები ქართული ფოლკლორიდან. დარბაზი მქუხარე ტაშით აჯილდოებდა ღირსეულთ.

ჩვენ არ გვესმოდა ქართული ენა, მაგრამ გვესმოდა ლექსი, რადგან გრძნობა და პოეზია იმ ფარული არხებით გადაეცემა, რომლებსაც თარგმნა არ სჭირდება. ეს იყო პოეზია ხალხისა, რომელსაც აქვს უძველესი კულტურა და ჰყავს ღირსეული შვილები.

ქართველებს დროის საკუთარი საზომი აქვთ. მათთვის სამარცხვინოდ არ ითვლება შეხვედრაზე დაგვიანება. დროს ისინი არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას. მათ აქვთ მარადიულობის მძაფრი შეგრძნობა.

ქართველები ყოველთვის მოწიწებითა და სიამაყით იგონებენ თავიანთ დიდ პოეტს შოთა რუსთაველს.

ისტორია ხალხებს უკან რჩებათ, მომავალი კი მარადიულია. ასე ფიქრობ, როცა სადღესასწაულო სუფრის გარშემო შეკრებილ ქართველებს დაინახავ, და კიდევ შეიგრძნობ — ცხოვრება არსებობს იმისათვის, რომ იცოცხლო და იყო ადამიანი. საქართველოში სუფრა არ გაიშლება თამადის — ლხინისა და სადღეგრძელოების გამრიგეს გარეშე. რას წარმოადგენს სადღეგრძელო ქართველისათვის? ამაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. ამისთვის რამდენიმე ბოთლი ღვინო მაინც უნდა შეისვას, მხოლოდ მაშინ გაიგებთ, რომ სადღეგრძელო ეს არის წეს-ჩვეულება, რიტუალი ადამიანთა ურთიერთობისა, როცა ტრიბუნას სუფრა ცვლის, მსმენელებს — თანამეინახენი, ორატორს — სადღეგრძელოს წარმომთქმელი. სადღეგრძელოები სჭირდებათ ქართველებს მეგობრებისა და ახლობლებისათვის სიყვარულისა და ერთგულების გამოსათქმელად. აღმოსავლეთის ჩვეულების მიხედვით, პირველად სტუმრებს ადღეგრძელებენ, ქებას ასხამენ მათ ფიზიკურ და მორალურ ღირსებებს. ჩქეფს ღვინო, წკრიალებს სასმისები, ისმის სადღეგრძელოები. ჩვენს სულს ნათელი ეფინება, ვგრძნობთ, რომ მეგობრებთან ვართ. ლხინის ბოლოს თანამესუფრეთ სევდა ერევათ — გარდაცვლილებს იგონებენ, შემდეგ კვლავ ცოცხლებს უსურვებენ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას...

თამადა საერთოდ არ იღლება. მუდამ მხიარულია. მას ხომ დიდი პატივი დასდეს — შეასრულოს წეს-ჩვეულებანი. სადღეგრძელოს წარმოთქმა უბრალო რაიმე არ არის, ეს განსაკუთრებული მეცნიერებაა.

ვზივართ სუფრასთან ქართველ მეგობრებთან ერთად, ვუსმენთ სადღეგრძელოებს და მზად ვართ დავიფიცოთ, რომ უკვე ვწვდებით ქართველი ხალხის, ამაყი, სტუმართმოყვარე და მეგობრების მოყვარული ხალხის სულს, ხალხისა, რომელმაც იცის ხანგრძლივი საუბრების ფასი, რომელსაც სძულს სწრაფმავალი დრო, რადგან მის წინ — თვით მარადისობაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## III. მედეა

მედეა მელოდიური სიტყვაა. თითქმის მარტო ხმოვანი ბგერებისაგან შედგება. ეს სახელი მრავალ ქალს ჰქვია საქართველოში. ეს სახელი მეც შემარქვეს, როცა ბათუმში ვიყავი. ლამაზი სახელია. ლეგენდის მიხედვით, მედეამ, კოლხეთის მეფის ასულმა, შეიყვარა არგონავტების წინამძღოლი იაზონი და დაეხმარა მას ოქროს ვერძის გატაცებაში. მაგრამ, როცა იაზონმა მეორე ცოლის შერთვა გადაწყვიტა, შეურაცხყოფილმა მედეამ სასტიკად იძიაშური მასზე.

ბერძნული ლეგენდა კავკასიაში გაცოცხლდა ჩვენთვის. მაგრამ ამ ლეგენდას საქართველოში სხვანაირად ხსნიან. მედეა ქალის სიმბოლოდ არის ქცეული, არამარტო მოსიყვარულე ქალის — დედის, რომელსაც ძალა შესწევს გაიღოს მსხვერპლი, იგია აგრეთვე მეომარი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, სამშობლოს დამცველი, ნაზი, მეფური ქცევის ქალის სიმბოლო.

ასე ვფიქრობდით მაშინ, როცა მუზეუმში ვათვალიერებდით ძველ ქართულ ხატებს, იარაღებსა და სხვა ძვირფას ნივთებს, თამარ მეფეს რომ ეკუთვნოდა თავის დროზე. მისი მეფობის დროს საქართველომ უჩვეულო აყვავებას მიაღწია. ყველა ნივთს აზის ბეჭედი უძლეველობისა და მატრიარქატისა, როცა მეფექალში ხორცშესხმული იყო ბრძოლის, ხალხისა და ქვეყნის დაცვის იდეალი.

არც კი გვჯეროდა, რომ საქართველოს ამ ლეგენდარულ მიწაზე დავდიოდით.

შემდეგ ჩვენ ვიყავით პანთეონში, ვინახულეთ ქართველი ხალხის გმირები, ქვაში, მკაცრ და უბრალო მონუმენტებში გაცივებულნი. საფლავებქვეშ გარდასული სამყაროა.

ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ შთაიბეჭდა ქანდაკება დიდი ქართველი პოეტის, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლის — ილია ჭავჭავაძისა. იგი რეაქციონერებმა მოჰკლეს 1907 წელს. ძეგლის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე იაკობ ნიკოლაძე. როცა ძეგლს შევცქეროდით, მიწის სიღრმიდან თითქოს საგალობელი გვესმოდა.

პანთეონი მაღლა, მთის კალთებზე, ეკლესიის ეზოში მდებარეობს, ქვემოთ კი ქალაქია გაშლილი, ქალაქი, რომელმაც თითქოს ერთბაშად გადაიხსნა გული ჩვენს თვალწინ.

გვიჭირს ამ ადგილის დატოვება, გვიჭირს საქართველოს დატოვება.

მონაბერი გმირული დროისა, რომელიც სადღაც საუკუნეების სიღრმეში იშვა და წინაპრებიდან მოდის, პანთეონის თავზე მოედინება, არც არასოდეს დამთავრდება ეს დინება, რადგან მარადიულია და უკვდავი თვით ქართველი ხალხი.

# ႮႨႰႥႤႪႨ ႮႰႭႴႤႱႭႰႨ

იშვიათი სურათია ჩვენს ხელთ. დიდი ქართველი მათემატიკოსები თურმე როგორნი ყოფილან 30 წლის წინ! ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე — უჭკვიანესი მამულიშვილები. მათ დაბრძენებულ, აზრიან მზერაში არ დამალულა კვლევის წყურვილი... მსოფლიო სახელის მეცნიერებს გვერდით უდგანან ახალგაზრდები, ცხოვრებაში გამოსასვლელად გამზადებული ხუთი კურსდამთავრებული. დღეს ისინი, თავიანთი აღმზრდელების კვალს გაყოლილნი, ცნობილი მათემატიკოსები არიან... იასონ მეცხვარიშვილი და აკაკი ბარკალაია — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტები, ალექსი გორგიძე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, გრიგოლ ხაჟალია — ქუთაისის პედინსტიტუტის პროფესორი.

მეხუთე კურსდამთავრებული ქალია. იგია პირველი ქალი მათემატიკოსი საქართველოში, რომელმაც მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა, იგია პირველი ქალი მათემატიკოსი საქართველოში, რომელსაც პროფესორის წოდება მიანიჭეს, იგია პირველი ქართველი მათემატიკოსი, რომელიც დაინტერესდა ალბათობათა თეორიით.

დარეჯან რაჟდენის ასული ვაშაკიძე — ანდრია რაზმაძის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, გიორგი ნიკოლაძის საყვარელი მოწაფე!

სურათი 1929 წელსაა გადაღებული. იმ წელს მათემატიკის ფაკულტეტის 50 სტუდენტიდან ამ ხუთეულმა მიიღო დიპლომი მაღალი შეფასებით.

„მე მივაღწიე მიზანს და ქართველ ახალგაზრდობას ვასწავლე, თუ როგორ უნდა იმუშაონ", — განაცხადა მათი წარმატებით კმაყოფილმა ანდრია რაზმაძემ.

და ეს სიტყვები ჭეშმარიტებად ისმის, ეს სიტყვები ხუთივე აღზრდილმა გაამართლა. მათ საზოგადოებას აჩვენეს, როგორ უნდა მეცნიერებისათვის თავისდადება.

დარეჯან ვაშაკიძის სამუშაო ოთახში ბავშვის დიდი სურათი ჰკიდია. მის თვალებში ნიჭი გამოსჭვივის. ბავშვი დაფიქრებულია, თითქოს რაღაცას მიაგნო გონებაში.

ოთახში ზურგზეჩანთამოკიდებული ბიჭი შემოდის. და სურათი ცოცხლდება. ბიჭუნა დარეჯანის შვილიშვილია. მერე პატარა ხელს დიდის ხელი იჭერს და ბაბუას მინდობილი ბავშვი სკოლაში მიდის. ბაბუა აკაკი ბარკალაია გახლავთ, რომელიც რამდენიმე წუთის წინ 1929 წელს გადაღებულ სურათზე ვნახე, სწორედ იმ ხუთეულში, დიდი მათემატიკოსების საყვარელ სტუდენტთა შორის.

ეს მათემატიკოსების ოჯახია. აკაკისა და დარეჯანის ვაჟიშვილი ზურაბი ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის ასისტენტია.

და დიდი ოჯახის, დიდი საზრუნავის, ორი შვილის დედობის, ხუთი შვილიშვილის ბებიობის, მეუღლეობის გვერდით, პატივცემულ დარეჯანს თავის საყვარელ დარგზე — ალბათობათა თეორიაზე ფიქრი წუთით არ შეუწყვეტია.

— აბა, ვინ გამოვა დაფასთან? — ამბობდა ლექციაზე შემოსული ანდრია რაზმაძე.

ხელს პირველი აწევდა დარეჯანი.

— აბა, ვინ გამოვა დაფასთან! — ამბობს დღეს ანდრია რაზმაძის აღზრდილი დარეჯან ვაშაკიძე, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ელემენტარული მათემატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე და ხელს იწევენ მისი სტუდენტები. ორმოცი წელია სვამს იგი ამ კითხვას და სხვადასხვა დროს, რიგრიგობით დგებოდნენ დაფასთან დარეჯანის მაშინდელი სტუდენტები დღეს აკადემიკოსები ა. ბიწაძე, გ. ჭოღოშვილი, ნ. ვეკუა, ა. ცაგარელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ბ. ხვედელიძე, ი. გვერდწითელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები: დ. ავაზაშვილი, დ. კვესელავა, ა. კალანდია, გ. ლომაძე, პ. კოღონია, შ. ფხაკაძე, გ. მანია, ფ. ხარშილაძე, ე. ჯვარშეიშვილი, ნ. მაღრაძე, ელ. ბოლაშვილი და სხვები.

მათ გაუმართლეს დარეჯანს იმედი, ისე, როგორც დარეჯანმა გაუმართლა იმედები ანდრია რაზმაძეს, ნიკოლოზ მუსხელიშვილს, გიორგი ნიკოლაძეს.

დიდ მათემატიკოსებს სწამდათ, რომ ქართველი ქალი თავის სიტყვას იტყოდა ზუსტ მეცნიერებაში. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი ლექციის დაწყების წინ რაზმაძემ ურჩია დარეჯანს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დარჩენილიყო თბილისში და ჩაბმულიყო მათემატიკური სტატისტიკის სემინარში, რომლის ჩამოყალიბებასაც ფიქრობდა. 1929 წლის 2 ოქტომბერს ულმობელმა სიკვდილმა ანდრიას ეს სურვილი განუხორციელებელი დასტოვა. ჯერ კიდევ პროფესორის სიცოცხლეში დარეჯანმა გადაწყვიტა ემუშავნა ალბათობათა თეორიაში. ანდრია რაზმაძე ამ გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდა, შეურჩია სამუშაო თემა — „დიდ რიცხვთა კანონი და მისი გამოყენებანი", დაუსახელა ლიტერატურა რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. დარეჯანმა თემა ბრწყინვალედ დაამუშავა, მაგრამ ანდრია ცოცხალი აღარ იყო.

დაუვიწყარია 1929 წელი, სანამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დიდი მათემატიკოსი და მათემატიკის ფაკულტეტის ხუთ კურსდამთავრებულს ფართო სამოღვაწეო გზას ულოცავდა, მან კმაყოფილი ღიმილი შეაჩერა დარეჯანზე, ხელი მაგრად ჩამოართვა და ასე უთხრა:

„მე მინდა თქვენ იმუშაოთ ჩემი ხელმძღვანელობით, დაგტოვებთ უნივერსიტეტში ასისტენტად და ამოირჩიეთ რომელ დარგში გსურთ შემდეგში მუშაობა. ხომ იცით, რომ ეს მეტად იშვიათი და საპასუხისმგებლო საქმეა. ერთი ასისტენტი მე მყავს — ლ. გოკიელი და მეორე პროფესორ ნ. მუსხელიშვილს — ვ. კუპრაძე".

ეს სურვილი ანდერძად დარჩა, რადგან ანდრია გარდაიცვალა.

1929 წლის შემოდგომაზე დარეჯან ვაშაკიძე მაინც გახდა უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის ასისტენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილის მიწვევით. პარალელურად იგი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის ასისტენტიც იყო. ამ სფეროში 1933 წლამდე იმუშავა, შემდეგ კი გული არ დაუდგა, უფრო დიდი საქმისათვის მოემზადა, 1933 წელს აუცილებელი საჭირო ნივთები ჩაილაგა და მეუღლესთან — აკაკი ბარკალაიასთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა. მათი მიზანი იყო ჩარიცხულიყვნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მათემატიკისა და მექანიკის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ალბათობათა თეორიის სპეციალობით.



დარეჯანის წინაშე საინტერესო პრობლემები წამოიჭრა. ნიჭით და შრომის უნარით იგი აოცებდა ხელმძღვანელს ალბათობათა თეორიაში, პროფესორ ნიკოლოზ ვასილის ძე სმირნოვს. ალბათობათა თეორიის სემინარებში მის მუშაობას კმაყოფილებით ადევნებდა თვალყურს ინსტიტუტის დირექტორი, იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული მეცნიერი, პროფესორი ანდრია ნიკოლოზის ძე კოლმოგოროვი. მანვე იოავა ნიჭიერი ქართველი ასპირანტისაოვის გაძლიერებული სტიპენდიის დანიშვნა. დარეჯანის დიდ შესაძლებლობებს და ღრმა მომზადებას აღიარებდნენ ყველანი, ვინც მასთან ერთად სწავლობდა, თუნდაც დღევანდელი თვალსაჩინო სპეციალისტი ალბათობათა თეორიაში, აკადემიკოსი ბორის ვლადიმერის ძე გნედენკო.

ასპირანტურაში სწავლის ვადა ჯერ დამთავრებული არ იყო, ბევრს სადისერტაციო ნაშრომი ჯერ წარდგენილიც არ ჰქონდა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას იცავდა დარეჯან ვაშაკიძე. იმ დღეს ქართული მათემატიკური სკოლის ზეიმი იყო. იმ დღეს ანდრია რაზმაძე ცოცხალი უნდა ყოფილიყო, რომ მოესმინა პროფესორ კოლმოგოროვის სიტყვა, რომელიც დისერტაციის დაცვისას წარმოთქვა:

„სამწუხაროდ, საასპირანტურო ვადაში ძალიან იშვიათად თუ ვინმე ახერხებს დისერტაციის არა თუ დაცვას, არამედ წარდგენასაც კი. ამ მხრივ დარეჯან ვაშაკიძის მაგალითი მეტად სასიამოვნო და მისასალმებელია".

და საქართველო შორიდან გულმხურვალედ მიესალმა ქალთა შორის თავის პირველ კანდიდატს მათემატიკურ მეცნიერებაში.

თბილისი სანთლით ეძებდა სპეციალისტებს. 1936 წლიდან დარეჯან ვაშაკიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია, კითხულობს ლექციებს ალბათობათა თეორიაში, უმაღლეს ალგებრაში. პარალელურად ზრდის კადრებს ამიერკავკასიის საგზაო საინჟინრო ინსტიტუტში.

სწორედ ომისდროინდელი სტუდენტობის წლების გახსენებაა იმ მოსალოც წერილში, რომელიც რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის ყოფილმა სტუდენტმა, ამჟამად ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ახვლედიანმა გამოუგზავნა დარეჯანს გასულ წელს, როცა მას დაბადების 60 წლისა და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავი იუბილე გადაუხადეს.

„მე და ჩემი ინსტიტუტელი ამხანაგები დღესაც სიამოვნებით ვიგონებთ იმ მძიმე (მატერიალურად) და ბედნიერ (ახალგაზრდობის დროინდელ) დღეებს, როცა თქვენს ლექციებზე, ნახევრად მშიერნი, მაგრამ სულითა და სწავლის წყურვილით მდიდარნი, „დეტერმინანტი-ა-ერთი-ერთი, ა-ერთი-ორი" ვიზეპირებდით".

წერილში ჩანს დიდი პატივისცემა პროფესორისადმი. ეს პატივისცემა, უეჭველად, ყველა მის სტუდენტს აერთიანებს, ერთნაირი გრძნობით ავსებს ძველებსაც და ახლებსაც, მათ, ვისაც მოგონებები შემორჩათ და მათ, ვისაც მოგონებები წლების მერე ეწვევა, ვინც დღეს პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისმენს პროფესორის ლექციებს მათემატიკურ ანალიზში, თეორიულ მექანიკაში, ალბათობათა თეორიაში, მათემატიკური ფიზიკის მეთოდებში.

დარეჯან ვაშაკიძის ლექციების გარდა, ჩვენი ახალგაზრდობა ეწაფება მის მეთო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დურ მითითებებს და სახელმძღვანელოებს მათემატიკურ ანალიზში.

დარეჯანმა კარგად იცის სახელმძღვანელოს ფასი. მისი სტუდენტობის პერიოდში, არა თუ ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც ნაკლებად არსებობდა სახელმძღვანელოები და საჭირო იყო მოსმენილი ლექციების ჩაწერა. იგი ზედმიწევნითი სიზუსტით ახერხებდა ლექციების ჩაწერას, შემდეგ სახლში ათეთრებდა და დამატებითი წყაროებით ავსებდა. რამდენჯერ გადაუთვალიერებია ანდრია რაზმაძეს მისი ჩაწერილი ლექციები, მოწონებია და მცირედი შენიშვნებიც შეუტანია. ამ ჩანაწერებით სარგებლობდნენ თანაკურსელებიც და მომდევნოკურსელებიც.

დარეჯან ვაშაკიძის სახელმძღვანელო მათემატიკურ ანალიზში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, სახელმძღვანელოს ავტორმა გადაამუშავა იგი მათემატიკური ანალიზის ახალი პროგრამის მიხედვით და მალე მიაწვდის სტუდენტებს. დარეჯან ვაშაკიძე კიდევ რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორია. მას ჰყავს სტუდენტები გორის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც, მას კავშირი აქვს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან, ის მოხსენებით გამოდის რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა კონფერენციებზე, ქალაქებისა და რაიონების სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა სემინარებზე. ნიჭიერი მეცნიერი, ლენინური პარტიის წევრი, მათემატიკის დარგში დღესდღეობით ქალთა შორის ერთადერთი პროფესორია საქართველოში.

და ამ პირველ ქართველ პროფესორ ქალს, თავის ყოფილ ასპირანტს დაბადების 60 წელი მხურვალედ მოულოცა მსოფლიოში სახელგანთქმულმა მათემატიკოსმა, აკადემიკოსმა ა. კოლმოგოროვმა. ხოლო უფრო ადრე, როდესაც საკითხი დაისვა უმაღლეს საატესტაციო კომისიაში დარეჯან ვაშაკიძისათვის პროფესორის წოდების მინიჭების შესახებ, იგივე კოლმოგოროვმა ასეთი შეფასება მისცა მის დამსახურებას:

„მე მიმაჩნია, რომ დ. ვაშაკიძის მოღვაწეობის მნიშვნელობა საქართველოში მათემატიკური კულტურის ასაწევად იმდენად დიდია, რომ სავსებით გამართლებულია მისთვის პროფესორის წოდების მინიჭება. ამის მთავარ მოტივებად ვთვლი პედაგოგიურ მოღვაწეობას და კარგი სახელმძღვანელოების შექმნას. ამასთანავე აღვნიშნავ, რომ დ. ვაშაკიძემ გამოაქვეყნა ძალიან საინტერესო გამოკვლევები ალბათობათა თეორიაში, რომლებმაც ამ მეცნიერებაში დატოვეს მნიშვნელოვანი კვალი და მათზე ახლაც ხშირად მიუთითებენ თანამედროვე ლიტერატურაში".

ლია კაკაბაძე

# მოხუცი


ნახატი ვ. გულისაშვილისა

ლალი ბრეგვაძე

მოთხრობა

ავტობუსიდან ერთი გოგონა ჩამოვიდა, წინ მიმავალ მოხუც ქალს გაუსწრო და ბაკუნით გაჰყვა მოყინულ ტროტუარს.

ხელთათმანიანი ცალი ხელით პირსა და ცხვირს იფარავდა. ხრაშუნობდა გამაგრებული თოვლი. ფეხს აუჩქარა. უცებ ბეჭზე რაღაც მაგარი მოხვდა. ეტკინა. წარბი შეიკრა, ცხვირი და ზედა ტუჩი მაღლა ასწია და სწრაფად მოტრიალდა. ტელეფონის ჯიხურთან ბიჭები იდგნენ და ხარხარებდნენ. ერთს ისევ ეჭირა გუნდა და გოგონას უმიზნებდა.

სასწრაფოდ მიბრუნდა. ტროტუარის კიდეში მდგარ ხეს ამოეფარა და უკან მომავალ მოხუც ქალს დაელოდა. ხეს მოხვდა გუნდა. მერე კიდევ. როცა ქალი მოუახლოვდა, გოგონა გვერდით ამოუდგა და გაჰყვა. ქალს გაეღიმა.

— მხეცები არიან, — ჩაილაპარაკა გოგონამ.

ქალმა ღრმად ამოისუნთქა და არაფერი არ თქვა.

— ადამიანი ქუჩაში ვერ გამოსულა.

გოგონას ძალიან მოუნდა თანაგრძნობა: — ბეჭი კინაღამ გამიხვრიტა. თავში რომ მომხვედროდა, ალბათ მომკლავდა.

— მოეწონეთ და გესროლეს, — უთხრა ქალმა, — მოეწონეთ და გუნდა გესროლეს.

ქალს ჩახრინწული ხმა ჰქონდა.

—ესეც კარგი ჭკუისაა, — გაიფიქრა გოგონამ. — ცოტაც რომ ილაპარაკოს, ალბათ დამარწმუნებს, რომ დავბრუნდე და მადლობა გადავიხადო.

— რაში მჭირდება, ქალბატონო, მაგათი მოწონება.

ქალმა თვალებში შეხედა და ჩააშტერდა. „ქალბატონო", — დამარცვლა და ისე გაიმეორა. მერე სავსე ბადურა მეორე ხელში გადაიტანა.

„ძალიან ნერვიულია, ეტყობა, სიცივემ გააბოროტა. მეც სულელი ვარ, რას გადავეკიდე", გაიფიქრა გოგონამ და მოაგონდა, რომ კარგა მანძილით გამოსცდა ბიჭებს. უკან მოიხედა, ქალისათვის არც შეუხედავს, ისე წავიდა გადასასვლელისაკენ.

ქალმა თვალი გააყოლა... „როგორ კვიცივით მიხტუნაობს," და ცნობისმოყვარედ აათვალიერა ქვემოდან ზემოთ. „ნეტავი მაგას,

— გაიფიქრა და თვალი მოაცილა. — გუნდას ესვრიან…“ ცალი ფეხის თითები მოეწვა. გაჩერდა. იმ ფეხის ქუსლს მეორე ფეხის წვერი მიაჭირა და ცოტაზე ამოსწია ფეხსაცმელიდან. როცა თითები აამოძრავა და იგრძნო, ჯერ კიდევ ჰქონდა შეგრძნება, ისევ მოირგო ფეხსაცმელი და გზა განაგრძო. ახლა ისე ძალიან აღარ აწუხებდა თითები. „როგორ შეიფერა, მოეწონეთ-მეთქი რომ ვუთხარი. ვითომ არც გაეხარდა“.

ყაზბეგის ქუჩას შეუყვა. ზემოდან ბიჭები მოდიოდნენ და თოვლს აგუნდავებდნენ. ქალმა მშვიდად შეხედა მათ. ნელა მიდიოდა. მას არ ეშინოდა თოვლის. ქალს ახლა მხოლოდ მიწის ეშინოდა, რომელიც მოსრიალებული ზურგიდან ადვილად ისხლიტავდა თუნდაც მძიმედ დადგმულ ფეხს.

სადარბაზოში შევიდა და კიბეებთან შეჩერდა. ბადურა ძირს დადო და წვივი შეაშველა, რომ არ გადაბრუნებულიყო. ცალი ფეხსაცმელი წაიძრო და ასე იყო ცოტა ხანს, ფეხი შეუთბა. ისევ ჩაიცვა. კიბის მოაჯირს მაგრად ჩაეჭიდა და სვენებ-სვენებით ავიდა მეორე სართულზე. კარებთან რომ შეჩერდა, ჯიბეების ქექვა დაიწყო. ახლა იგრძნო, ხელის თითები დაბუჟებოდა. ქექვას თავი დაანება, ხელი ასწია და ულონოდ მიაჭირა თითი ზარის ღილაკს. კარი მოხუცმა კაცმა გააღო. უხმოდ ჩამოართვა ბადურა და ხმადაბლა ჩაიღიღინა.

— გავიყინე, — თქვა ქალმა კაცის გასაგონად და პალტო კედელზე მიაკიდა.

— რა მოიტანე? — იკითხა კაცმა და სამზარეულოში შევიდა, სკამზე დაჯდა, ბადურა მუხლებზე დაიდო და ქაღალდში გახვეულების ამოლაგებას შეუდგა. ერთს რომ ამოიღებდა, თან ხსნიდა და ისე აწყობდა მაგიდაზე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ეს რა მოგიტანია, — წამოიძახა გახარებულმა. ისევ ჩაიღიღინა.

ქალი უკვე ოთახში იყო და სამზარეულოდან ქმრის ხმა არ გაუგონია. გარდერობის კარი გამოაღო, რაღაცას ეძებდა. ბოლოს სურათების ალბომი გამოიღო. მაგიდაზე დადო, თვითონ დაჯდა და ალბომი გადაშალა. წინა ფურცლებში ახლად გადაღებული სურათები ეწყო და ისინი სწრაფად გადაფურცლა. თავისი ახალგაზრდობის სურათი ამოიღო. ჯერ უყურა. მერე კედელზე პატარა ლურსმნით მიკიდებულ თავის რამდენიმე წლის წინათ გადაღებულ სურათს ზემოდან მიაკიდა. გაკვირვებული სახით მისჩერებოდა. კარებისაკენ გაიხედა, ყური მიუგდო, ფეხის ხმა ხომ არ ისმისო. როცა ისევ სურათს შეხედა, უნებურად შეკრთა, ასე ეგონა, რაღაცას იპარავდა, ეგონა, თითქოს ვიღაც უცნობი მოიყვანა და კედელზეააკრა. შეეშინდა, ვაი თუ უცნობს დაერღვია ამ სახლში გამეფებული ბებრული სიმშვიდე. თითქოს ახლა შეამჩნია, როგორ გახუნებულიყო სალებავი კედელზე. სასწრაფოდ ჩამოიღო. არ უნდოდა ქმარს მოესწრო. ეგონა, დანაშაულზე წაასწრებდა. მიხვდა, ამ სურათის ადგილი მხოლოდ ალბომში იყო ახლა. ალბომი ისევ გარდერობში შედო.

კარებში რომ გადიოდა, კედელზე დარჩენილ სურათს გამოხედა. გულზე მოეშვა. სიმშვიდე იგრძნო.

სამზარეულოში შევიდა, ქმრის გვერდით დაჯდა და ფეხსაცმელები წაიძრო.

— სულ წამეყინა ფეხები, — თქვა იმიტომ, რომ უნდოდა ქმრისათვის თავი შეეცოდებინა. — გახსოვს, გუნდას რომ მესროდი ხოლმე…

— რაო?

— არაფერი…

კაცი სატეხით ამტვრევდა თხილს და გემრიელად იჩუჩნებოდა,

— შეგცივდა? — ჰკითხა თითქოს ზრდილობის გულისათვის და შეორთქლილ ფანჯარას შეხედა.

გარეთ არაფერი არ ჩანდა.

— ჰო, სულ წამეყინა ფეხები.

ფეხის თითები ქვევით დახარა. ეგონა, შეგრძნობა არ ექნებოდა. მაგრამ საკმაოდ მოთბობოდა და თავისუფლად ამოძრავებდა.

— ძალიან ცივი ზამთარია, — წარმოთქვა კაცმა გულგარეთ და ხელისგულზე მოგროვილი დარჩეული თხილი ერთბაშად შეიყარა პირში.



ლიდა სტვილია

* * *

მე გული შიშით არასდროს მიკრთის,
თუმც ფერი მაძევს სულ მუდამ ფითრის.
ოღონდ ეს კითხვაც
დამიპყრობს წამით:
— რას ნიშნავს ფერი საღამო ჟამის?!

არა, თვით ეჭვმა იცვალოს ფერი —
ეჭვი ჩამოჰგავს ნარსა და ეკალს…
ასორმოცი წლის ქართველი მღერის,
ასორმოცი წლის ქართველი ცეკვავს.

მე, ახალგაზრდა რამ უნდა მომკლას?
ბადიშებს მინდა ესეც ვანახო:
სიკვდილს სიმღერით ხელს შევუბორკავ
და საცეკვაო ველზე დავამხობ.

## ნაპერწკალი

მუგუზლის ღაწვზე გაჩენილ ცინცხლზე
მე ვხედავ ალი თამაშს რომ იწყებს.
აიფრქვევიან ცინცხლები გუნდად,
თითქოს ლაჟვარდში გაფრენა უნდათ.
შემდეგ —
ერთმანეთს წუდებიან ხელად,
შემდეგ —
ზედიზედ გაქრება ყველა…

მათ ნაკვალევზე მოიქნევს ბოლოს
ყომრალი კვამლი გაშლილი ღრუბლად,
და მეჩვენება, ნაპერწკალს მხოლოდ
განმარტოების სურვილი ღუპავს.

## როცა სათიბზე ვახვავებ თივას

ყოველთვის მტრულად ავხედავ ღრუბლებს,
როცა სათიბზე ვახვავებ თივას.
საზვინეს თივით ავუვსებ უბეს
და ამ ზამთარში იქნება თბილად.
ჩემი სამთითაც ხალისის ნიშნად,
ჩამოჰკრავს,
დარს და ნიავქარს უხმობს…
დგანან ლვინია, ლომა და ნიშა
და მეჩვენება მლოცავენ უხმოდ.

გიორგი მესხაძე

## ხოტევი

ღამდება. ზეცა, ფერით წითელი,
ცეცხლად ედება მკერდზე კრამიტებს…
და ცისარტყელა ფეხებშიშველი
დაგრეხილ ხევში სანთლებს ამინთებს.
ამ ლამაზ მიწის წყალი მწყურია,
ცისფერ შაორზე ბრწყინავს ხოტევი,
ბაღ-ვენახების შარი-შურია,
მიდის მდინარე მზიან ტოტებით…
მიდის და ფაფარს წითლად ილებავს
და ჩემს მხარდამხარ მღერის ოდები,
რაჭის დარაჯად ისევ იქვე დგას
ქედმოუხრელი ციხე ხოტევის.

# ექიმის მხურვალე გული



— უპირველეს ყოვლისა, მე ექიმი ვარ, — დაიწყო მან მშვიდი, ფიქრიანი ღიმილით, — მერე კი მეცნიერი და პედაგოგი.

კაცმა რომ სთქვას, სამივე ერთმანეთზე უკეთესია, მაგრამ რაკი მინა ისაკის ასულმა პირველობა ექიმობას აკუთვნა, რაღა გვეთქმის, ალბათ, აქვს საფუძველი.

— გიფიქრიათ, როდისმე, რატომაა სამედიცინო ინსტიტუტში შესვლის ამდენი მსურველი? — განაგრძო მან, — არ დაიჯეროთ, ზოგიერთი ობივატელის აზრი, თითქოს მატერიალური მხარე აინტერესებდეთ. ცილისწამებაა! შესაძლოა, ქვეყნად ცუდი ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ უმრავლესობას სიკეთე სურს თესოს, უშველოს გაჭირვებულსა და დავრდომილს.

შეეკითხეთ, აბა, ხუთიოდე წლის ასაკის ბავშვებს, რომ გაიზრდებით, რა უნდა გამოხვიდეთქო, ექიმი ვიქნები, ამასა და ამას მოვარჩენო, გიპასუხებთ ათიდან შვიდი მაინც. ბევრს, რომ იტყვიან, დედის მუცლიდან დაჰყვება ხოლმე რაიმე საქმის სიყვარული, რომელთა რიცხვს, ალბათ, მეც ვეკუთვნი. მერწმუნეთ, სიცოცხლის თავიდან დაწყება რომ რამდენჯერმე შეიძლებოდეს, ყოველთვის ექიმობას ავირჩევდი.

ბევრი გვინახავს თავის საქმეზე შეყვარებული, მაგრამ მინა ისაკის ასული, ალბათ, ყველას გადააჭარბებს. ვერაფრით ვახერხებთ პირადი ცხოვრებიდან რაიმე წამოვაცდენინოთ. ყველა კითხვას ექიმის პოზიციიდან პასუხობს.

— რა სიძნელეები შემხვედრია ცხოვრებაში? — ძალიან ბევრი. მე ნევროპათოლოგი გახლავართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე, ძირითადად, ადამიანის ტვინთან მაქვს.

ყველაზე რთული, რაც კი ბუნებას შეუქმნია, ადამიანის ტვინია; გცივა, გწყურია, გტკივა, გესმის, გეზიზღება თუ გიყვარს, ყველაფრის განკარგულებას ტვინი იძლევა. თუ რაიმე დაირღვა ამ საოცარი ორგანოს ჰარმონიაში, ფრთხილად იყავი, ტვინთან ხუმრობა არ შეიძლება!

ახლა საქმე უკეთ გვაქვს, უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე იმდენი ახალი პრეპარატი, აპარატურა და აღჭურვილობა შეიქმნა, რომ ექიმს უმეტესად დაავადების კეთილად დამთავრების იმედი აქვს.

ადრე კი ასე არ გახლდათ, მაგალითად, დიაგნოზი „ტვინის ანთება“ ერთნაირად უიმედო და საგანგაშო იყო, როგორც ავადმყოფისათვის, ასევე ექიმისთვისაც.

რამდენი კაცი გამოთხოვებია სიცოცხლეს ან სამუდამოდ დაინვალიდებულა ისეთი, დღეს შედარებით იოლი დაავადებით, როგორიცაა „ტუბერკულოზური მენინგიტი“.

ბევრია სიძნელე და იმედგაცრუება ექიმის ცხოვრებაში, მაგრამ მძიმე ავადმყოფის გადარჩენის სიხარული ყველაფერს აბათილებს.

ამ რამდენიმე წლის წინ ერთ ქალიშვილს ვმკურნალობდი, რომელიც ჩემთან უიმედო მდგომარეობაში მოიყვანეს: თავის ტვინის 12 ნერვიდან 11 დაზიანებული ჰქონდა, განვითარებული იყო ხელ-ფეხის დამბლა.

არც კი ვიცი, რას შეიძლება შეედაროს ექიმის სიხარული, როცა ასეთ ავადმყოფს მოარჩენს.

ის გოგონა ახლა ფიზიკოსია, ხშირად ვხვდები ჭავჭავაძის პროსპექტზე მიმავალს, მოელვარე, ხალისიანი თვალებით. შევხვდებით ერთმანეთს, და ვიცინით, ვიცინით იმიტომ, რომ გვაქვს სიხარულის მიზეზი.

იგონებს ექიმი მშვიდობით დამთავრებულ კიდევ ბევრ სხვა მძიმე შემთხვევასაც და ჭკვიანი თვალებით გვიღიმის.

სახელგანთქმული ექიმისა და მოქალაქის მინა ისაკის ასული შაცი-მშველიძის საქმიანი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი ქართველი მეცნიერის — პეტრე სარაჯიშვილის მოღვაწეობასთან. მინა ისაკის ასული თავს სარაჯიშვილის მოწაფედ თვლის, მისგან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ყოველდღიურად ავსებს და შემოქმედებითად ანვითარებს.

1940 წელს მინა ისაკის ასული შაცი-მშველიძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „მასალები ნეიროინფექციის ვირუსულ წარმოშობაზე“.

დიდი სამამულო ომის მთელი ოთხი წლის განმავლობაში გაათკეცებული ენერგიით ემსახურა საფრთხეში ჩავარდნილ თავის ქვეყანას. იგი ყველგან იყო: პოლიკლინიკებში თუ ჰოსპიტლებში, სანიტარულ მატარებლებსა თუ ავადმყოფთა ბინებზე...

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მინა ისაკის ასულს მიენიჭა ბრწყინვალედ დაცული დისერტაციის შედეგად „მასალები ნეიროაქილიური სინდრომის საკითხისათვის“. იგი თანაავტორი გახლავთ სამი მონოგრაფიისა. გამოვიდა „ნევროპათოლოგიის ლექსიკონი“, პროფესორების — მინა შაცისა და თამარ ღლონტის ავტორობით. ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა, გამოუცდელ ექიმებს, რომელთა დახელოვნებისთვისაც მინა ისაკის ასული ისედაც ბევრს იღწვის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ნერვიულ სნეულებათა კათედრაზე, გამუდმებით ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან სისტემატურად გზავნიან ახალგაზრდა ნევროპათოლოგებს.

მინა ისაკის ასული შაცი-მშველიძე დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში. იგი უყვართ ექიმის მხურვალე, ფაქიზი გულისათვის, უყვართ მოქალაქის სუფთა სინდისისათვის, ჭკვიანი მეცნიერის ერუდიციისა და მოუღლელობისათვის.

საუბარი ისე დამთავრდა, თავის პირად ცხოვრებაზე მაინც არაფერი გვითხრა. ანდა რა საჭიროა. მინა ისაკის ასული იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთათვისაც ზღვარი პირადულსა და საზოგადოებრივ საქმიანობას შორის საზოგადოებრივის სასარგებლოდაა წაშლილი.

ნანული ცაგარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იარებოდა დედაი

იარებოდა დედაი, ვეფხვთან ნაბრძოლი შვილის, ვაჟკაცი შვილის ამბავს შესძახოდა ცასა და ქვეყანას. და ხალხს უძლიერეს, ულამაზეს პოემად ჰქონდა ეს კეთილშობილური ტრაგედია გულის ძარღვში განასკული.

იარებოდა დედაი!

განა ერთის, ორი ვაჟკაცის დედა.

ორი გზა განვლო — ორი გზა ტანჯვისა:

თბილისიდან ნიკოლაევამდე, თბილისიდან კიევამდე. ორთავე უკრაინის მიწას ებარა, — მამულის წინ ვალმოხდილნი: 21 წლის იაკობი, 22 წლის დავითი. საოცარი თამაში ბედისა: უმცროსმა ძმამ უფროსს გაუსწრო წლოვანებაში! ბუსკია და ბუხულია (დღესაც ასე ალერსით უხმობს დედა) —

ლეიტენანტი იაკობ ვაშაკიძე,

გვარდიის კაპიტანი დავით ვაშაკიძე.

იაკობი ლამაზი, თავშეკავებული, დინჯი, ადრედაკაცებული.

დავითი ცინცხალი, ხუმარა ბიჭი.

დედა კარადიდან იღებს მათ კოსტიუმებს, ეფერება, ეტოლება — აი, რა სიმაღლისანი იყვნენ, მხრებამდე ძლივს წვდებოდა დედა!

— არა, ეს მათი დედა არ არის მხოლოდ. „ეს ჩემი დედაა, ეს შენი დედაა!“ — თქვა უკრაინაში ერთმა წითელარმიელმა, როცა გზად შეხვდა ამ ქალს.

და თუ არსებობს დიდებული ფილმი — „ჯარისკაცის მამა“, უნდა არსებობდეს ასეთივე დიდებული სურათი — „ჯარისკაცის დედა“.

სად დაიბადნენ, სად სწავლობდნენ, სად ცხოვრობდნენ, როგორ იზრდებოდნენ, რას ფიქრობდნენ, რას აპირებდნენ...

ჩვეულებრივად, ჩვეულებრივად, როგორც ყველა, და მაინც არაჩვეულებრივად, ამაღლებულად, როგორც ყველა იმ თაობის წარმომადგენელი, თავი რომ შესწირეს, თავი რომ გასწირეს სალოცავი ხატისათვის — მამულისათვის. სხულუხიები იყვნენ, შალამბერიძეები იყვნენ, ლესელიძეები იყვნენ, ბენდელიანები იყვნენ, ბუხაიძეები იყვნენ.

და მაინც, შეიძლება დაკონკრეტება:

ძმები ვაშაკიძეები ლანჩხუთში დაიბადნენ, თბილისში გაიზარდნენ, დიდუბის მყუდრო უბანში, ნახევრად სარდაფში. უყვარდათ დედა, უყვარდათ ერთმანეთი, უყვარდათ სამშობლო.

„სანამ ასე მხიარულად გრიალებენ ჩემი ზარბაზნები, მტერი ვერაფერს დამაკლებს“, — წერს დედას არტილერისტი იაკობ ვაშაკიძე.

„მხიარული ზარბაზნები“... შურისმაძიებელი ზარბაზნების ხმაში მხიარული კილოს დაჭერა მხოლოდ პოეტურ ახალგაზრდას შეეძლო. წლების შემდეგ აღმოაჩინა დედამ იაკობის მიერ გადამალული საკუთარი ლექსები. ბუსკია, ბუსკია, შენ იქნებ დიდებული პოეტი დამდგარიყავ, მაგრამ ის, რაც შენ გააკეთე, თავისთავად დიდი, სამამულო პოეზიაა!

„მალე ბერლინში უნდა გავიარო საპარადო მარშით!“ — წერდა ეს ჭაბუკი მრისხანე დღეების დასაწყისშივე. მან ვერ გაიარა, სხვებმა გაიარეს, მოწიწებით აიარეს საძმო საფლავები და ისე შევიდნენ ფაშიზმის ბუნაგში.

**1941** წლის 23 ივლისი. ეს დღე საბედისწეროდ იქცა შვილისთვის, დედისთვის. იქნებ გულმა უგრძნო, ბოლო ბარათში რომ მოიწერა: „თუ დროებით ჩემი წერილები არ მიიღოთ, ნუ შეშინდებით“. შემდეგ ბარათი აღარ მოსულა. სანაცვლოდ დარჩა ფრონტული გაზეთები, სადაც ბატარეის უფროსი, ლეიტენანტი იაკობ ვაშაკიძე იძლევა ბრძანებას: „ცეცხლი!“ და ფოტოზე ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ყურისწამღებად ხმიანობს ბრძოლის გუგუნი. ლეიტენანტი მომუჭულ მარჯვენას სწევს მაღლა და ჰყვირის: „ცეცხლი!“

კიევიდან 90 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ იაგოტინში, 26 წლის შემდეგ ელირსა ლეიტენანტი ვაშაკიძე ქართულ მიწას: დედამ ჩაუტანა ეს ერთი მუჭა მიწა და საფლავზე მოუბნია. იმ დღეს ქართველ დედას უცნობ ქალაქში მთელი მოსახლეობა შეეგება. მოვიდნენ ნორჩები, ჭაბუკები, მოვიდნენ ადამიანები, რომელთა გულზეც გადიგრიალა ომის ხმაურმა, გარუჯა ომის ცეცხლმა. ახლა ისინი მდუმარედ შეჰყურებდნენ ქალს, დედას, ამდენი ხნის ძებნის შემდეგ რომ მიაგნო თავის საუნჯეს. ძებნაში ხელი შეუწყეს ათასობით კილომეტრით დაშორებულმა ადამიანებმა, აღუდგინეს შვილის ბოლო დღე, მისი ნათქვამი. აქამდე კი უგზო-უკვლოდ ეგონა დაკარგული. არა, კვალი დიდი დარჩა თურმე! ტყვია რომ შემოელია, ტანკში გადაჯდა — რამდენიმეს მაინც წავიმძღვარებ წინო. ტანკში დაიწვა, კიევის დაცვისას... ასე შეატყობინა დედას დივიზიონის ყოფილმა უფროსმა, მაიორმა ვასილი ანდრიას ძე ტელიაჩენკომ.

მაგრამ, ეს არ იყო დაცემულ შვილთან პირველი შეხვედრა. შეხვედრა მანამდეც მოხდა, ერთი წლით ადრე; უჩვეულო, ამაღელვებელი იყო ეს შეხვედრა: კინოდარბაზში დოკუმენტურ ფილმს „დიდ სამამულოს“ უჩვენებდნენ. და სუნთქვაშეკრულმა დედამ თავისი იაკობი, თავისი ბუსკია იცნო, მუჭშემართული რომ გაჰყვირის „ცეცხლიო“. და დაიწყო გზა დედისა, გზა, რომლის გავლისას დედა გრძნობდა ადამიანთა შეშველებულ ხელებს. „კრასნაია ზვეზდისა“ და „კომსომოლსკაია პრავდის“ რედაქციებმა დიდი დახმარება გაუწიეს ქართველ დედას. მათი შუამდგომლობით, დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ, ცენტრალურმა კინოარქივმა გამოუგზავნეს დედას ფირი კადრებისა, სადაც, წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი, 21 წლის ჭაბუკი, ხელშემართული ბრძანებს: „ცეცხლიო“. ცეცხლთან ომმა მიიყვანა. ისე კი უნაზეს ლექსებს წერდა და შემდეგ მალავდა მორცხვი ბიჭი...

იარებოდა დედაი...

უფრო ადრეც იარებოდა — უმცროსი ბიჭის, გვარდიის კაპიტნის დავით ვაშაკიძის გავლილ გზაზე. ეს ცეცხლიანი გზა ბუხულამ ქალაქ ნიკოლაევის მისადგომებთან დაასრულა. დედამ კი ახლა დაიწყო, მეორე ცხოვრებისათვის.

**1944** წლის 25 მარტი.

ეს თარიღიც ამოიშანთა ქალის მეხსიერებაში.

გახევებულ ძუ ვეფხვს გავდა პირველ დღეებში. მერე პირი გაუმეხდა — თავის მიწაწყალზე უნდა ჩამოვიყვანოო.

თქვენ შეგიძლიათ თვეობით იჯდეთ მარიამ ვაშაკიძესთან, მას კი არ დაელევა სათქმელი. ახსოვს ყველა დეტალი, ყველა ადამიანი, რაც შეხვდა, ვინც შეხვდა, ვინ რა თქვა, ვინ როგორ მიიღო, ვინ დაეხმარა, — აი, მაშინ იყო სწორედ, „ის ჩვენი დედააო“, რომ თქვეს ჯარისკაცებმა. და თავიანთ დედას ლიანდაგიდან ლიანდაგამდე, ბაქნიდან ბაქნამდე, სადგურიდან აეროდრომამდე ატარებდნენ, მწვანე გზას უხსნიდნენ, და დედა მიდიოდა წინადღით ნაბრძოლ, ცეცხლგადავლილ გზებზე, სოფლებზე. სიკეთეს მადლობით უზღავდა. და თუ სადმე გადაეყრებოდა ომის ჯოჯოხეთური ხმაურით გაყრუებულ გულს, მაშინ მართლაც ვეფხვივით აიმართებოდა: „არა, ჩემი შვილი მკვდარი არ არის, იგი ცოცხალია, მკვდარი ისაა, ვინც მასზე ამბობს მკვდარიაო!“

ასე მიაგნო ქალაქ ნიკოლაევთან, პატარა სოფელ გრეიგოვში თავის მარად ცოცხალ ბიჭს, თავის ბუხულას. ფრონტელ ძმებთან ერთად იწვა. და ქართველმა დედამ ის ძმებიც დაიტირა. მერე კვლავ შინელში გახვია ვალმოხდილი შვილი და საქართველოს გზას გამოუყენა — „დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენ მიწას მიმაბარეო“.

ერთ ქართველ პოეტს ასეთი ლექსი აქვს:

რა უფრო მშვენიერია:
დიაცი — უბემჩინარე,
თმადათოვლილი — მოხუცი,
ჩვილი — აკვნიდან მცინარე,
ვაჟკაცი — ომში გასული,
მამულისათვის მძვინვარე,
თუ უკვე შუბლგაჩეხილი —
გაუღვიძებლად მძინარე?!

ადამიანისათვის, სიკეთის ზეიმისათვის, მამულის კეთილდღეობისათვის შუბლგაჩეხილ, გაუღვიძებლად მძინარე ვაჟკაცზე უფრო მშვენიერი რა უნდა იყოს მართლაც?

დედა კი კვლავ იარება!

შავითმოსილი, შემართული, პირდაპირი.

იგი მიდის ახალგაზრდებთან, რომლებიც ჩხუბობენ, დაობენ, ერთმანეთზე იწევენ, მიდის, როგორც ქალი, რომელმაც სიცოცხლე გააჩინა და უფრთხილდება ამ სიცოცხლეს, მიდის, როგორც დედა, რომელსაც ცრემლი არ შეშრობია და უნდა, რომ სხვისმა დედამ არ იტიროს.

და დარცხვენილი ჭაბუკები მოწიწებით იხევენ უკან, სამტროდ შემართულები ძმურად ჰკიდებენ ხელს ერთმანეთს.

ნეტავ ყველა ქალს ეყოს ამისთვის ღონე. ნეტავ ყველა შვილი ასე უჯერებდეს დედას. და აღარც იქნება უბედური შემთხვევები, როცა უაზროდ, სრულიად უაზროდ იღუპება სიცოცხლე, ერთი წაკინკლავებისათვის, ერთი უხეშად ნათქვამი სიტყვისთვის. შეჩერდი, ჭაბუკო! პირი იბრუნე თაობისაკენ, რომელიც აწ ნაადრევად გარდასულია, გაიხსენე, ისინი სიცოცხლის ზეიმისათვის წვანან ალამდაფარებულნი. შენ, ახალ სიცოცხლეს, არა გაქვს ნება, ზოგჯერ დანის წვერზე დაკიდო არსებობა, ამის ნებას, უპირველეს ყოვლისა არ მოგცემს დედის გული.

**ნაზი კილასონია**



იაკობი

დავითი






იაკობის საფლავთან



# ორჯო-ნიკიძის სახელო-ბის მოედანი



სახეს
იცვლის
საქართველოს
დედაქალაქი


სპორტის სასახლე


შენდება ახალი სასტუმრო

ფოტო დ. იაკობაშვილისა



# სცენის ერთგული

ეს მოხდა 900-იან წლებში:

მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაწვეს პატარა ქალაქის ერთ-ერთი დარაბა. ალბათ გაიკვირვებთ, რა დარაბები იყო ამისთანა, ასე **გააფთრებით** რომ ებრძოდნენ ცარიზმის დამქაშებიო. საქმე ისაა, რომ ეს დარაბა ზესტაფონის „თეატრი“ გახლდათ, არც მეტი, არც ნაკლები, — ტანჯვითა და წამებით შექმნილი თეატრი. მაინც იძალეს ზესტაფონელმა სცენისმოყვარეებმა, უკანასკნელი „თეატრი“ ლიანდაგის გადაღმა ააშენეს, ოქროპირ არაბიძის თანხით. რეკვიზიტი და ტანსაცმელიც არაბიძეების მრავალრიცხოვანი ოჯახიდან მოიტანეს. 3-4 წარმოდგენის შემდეგ იქაც იფეთქა ხანძარმა. გულგატეხილმა მსახიობებმა გადაწყვიტეს მეტი აღარ ეშრომათ. მაგრამ ისევ არაბიძეების ოჯახმა გამოიდო თავი საერთო საქმისათვის: ალექსანდრე არაბიძის დედამ საკუთარი მაღაზიის შენობა დაუთმო თეატრს. შენობა სასწრაფოდ გადააკეთეს 400-ადგილიან თეატრად. ახლა კი, გარდა ადგილობრივი სცენისმოყვარეებისა, თეატრში ცნობილ მსახიობთა მოწვევაც შეიძლებოდა. მართლაც, ამიერიდან ზესტაფონში ხშირად ჩამოდიან ვლ. მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე, შალვა დადიანი, დავით აწყურელი, დავით ჩარკვიანი, ვასო ბალანჩივაძე მეუღლით და სხვები. და არაბიძეების ოჯახის ერთი წარმომადგენელიც — 13 წლის ფაცია მოხიბლული შეჰყურებს ზღაპრულ სცენას, ეთაყვანება ნუცა ჩხეიძეს. ერთხელ ასეთი ამბის მოწმე გახდა: ქუთაისის თეატრმა ზესტაფონში ერისთავის „სამშობლო“ დადგა, აღტაცებულმა მაყურებელმა „ვაშას“ ძახილით გააცილა უსაყვარლესი მსახიობი ლადო მესხიშვილი. და უცებ... თეატრის შენობიდან ცეცხლის ალი ავარდა. ასე მოშალა მთავრობამ რევოლუციის ახალი კერა — თეატრი. მაგრამ კვლავ იძალეს ხელოვნების ტრფიალებმა: მოწინავე ახალგაზრდებმა — ვანო იმედაშვილმა, მიხა გაჩეჩილაძემ, ილია მაღლაკელიძემ, ვარინკა წერეთელმა, კოტე ანთაძემ და სხვებმა გადაწყვიტეს უკეთესი თეატრი აეშენებინათ. ამ მიზნით გაავრცელეს ე. წ. „პაები“. საზოგადოება სიამოვნებით იძენდა მას, ხელს უწყობდა სახალხო საქმეს. და მალე, ახლანდელი კომუნარის ქუჩაზე, კეთილმოწყობილი თეატრი აიმართა. აქვე მოთავსდა ბანკი, სამკითხველო, წიგნის მაღაზია, სტამბა... მაგრამ 1905 წელს, ალიხანოვ-ავარსკის რაზმმა ეს თეატრიც გადასწვა. და ამის შემდეგ ზესტაფონში კარგა ხანს შეწყდა თეატრალური საქმიანობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თეატრალურ ცხოვრებაში ფაცია არაბიძემ მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

პირველად მათი ოჯახის ახლო მეგობარმა შალვა დადიანმა ათამაშა ფაცია „თამარ ცბიერში“ ცირას როლში. მაყურებელმა უსაზღვროდ მოიწონა სპექტაკლი და ახალბედა ფაციაც. ამიტომ დადიანმა ახლა „პარიზელ ბიჭში“ შესთავაზა ფაციას დედის როლი. პარტნიორობას ბრწყინვალე მაკო საფაროვა უწევდა!

შემდეგ დადიანმა ნინოშვილის „ქრისტინე“ და თავისი „გუშინდელნი“ წარმოადგინა. „გუშინდელნში“ ფაცია არაბიძე ფოფოდიას ანსახიერებდა. მრავლის მნახველი ზესტაფონელები ამბობდნენ: „ასეთი ფოფოდია იშვიათია და, ვფიქრობთ, სხვა დროს აღარც განმეორდებაო“. ასე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართულ სცენაზე მოკრძალებულმა ზესტაფონელმა ქალიშვილმა. 1911 წელს იგი რეჟისორმა ალ. წუწუნავამ მიიწვია ჭიათურის თეატრში, შემდეგ კი თბილისის ქართულ თეატრში გადაიყვანა. ფაცია არაბიძეს 200-დე როლი აქვს შესრულებული. მათ შორის აღსანიშნავია ლირსა („ყვარყვარე თუთაბერი“), ლიდა („პლატონ კრეჩეტი“), ევდოკია („დღენი ჩვენი ცხოვრებისა“), მართა („სტუმარ-მასპინძლობა)“, ვარდო („სურამის ციხე“), ისახარი („ღალატი“), ჯავარა („მოკვეთილი“), ირინე („ირინეს ბედნიერება“), კაროჟნა („დარისპანის გასაჭირი“), სალიხე („ვინ არის დამნაშავე?“), ფროშარი („ორი ობოლი“) და სხვ.

მაგრამ, ამ ქალის ცხოვრებაში მეორე დიდი მომენტიც არსებობს — ესაა მისი მეორე პროფესია, საქმიანობა, რომელსაც არანაკლები ენერგიით და მხურვალე გულით ემსახურა. თეატრში ადამიანთა სულს ასპეტაკებდა, ცხოვრებაში ადამიანთა ჯანმრთელობას უდგა დარაჯად. 1917 წელს, მეფის ტახტის დამხობას, ფაცია არაბიძე თბილისის 34-ე ლაზარეთში შეხვდა, როგორც ქირურგის თანაშემწე. ბედნიერმა ქალმა დაჭრილ მებრძოლებთან ერთად იზეიმა მშრომელთა გამარჯვება.

შემდეგ კვლავ მშობლიური ზესტაფონი. ქალაქი, რომელსაც იმ ხანად არავითარი სამედიცინო დაწესებულება არ გააჩნდა. მოწინავე ადამიანები თავდადებით იბრძოდნენ, რათა გაეხსნათ სტაციონარი, მათ შორის იყვნენ ექიმები: ზურაბ წერეთელი და იორდანე გოცაძე, და თვად ისიც — კვალიფიციური ბებიაქალი, ფაცია არაბიძე, რომელიც ზესტაფონში ჩამომდგარ სამხედრო მატარებლის სანიტარული ვაგონიდან საწოლებს, ლოგინის თეთრეულს, მედიკამენტებს, ხელსაწყოებს ეზიდება. ნებართვა და მიმართვა ქალაქის საბჭოში უკვე აღებულია, მაგრამ სად წაიღონ, სად დადგან ეს ნივთები? ბოლოს, საკუთარი ხარჯით დაიქირავეს ორი ოთახი, დადგეს საწოლები და კარებზე ასეთი განცხადება გააკრეს: „ბინა ჩვენი, მომსახურება ჩვენი, მხოლოდ საჭმელი ავადმყოფების და ფასიც — ერთი მანეთი“. ასე გაიხსნა პირველი საავადმყოფო ზესტაფონში...

და ისევ სცენა. იგი გვერდში უდგას ცაცა ამირეჯიბს, მარო მდივანს, უშანგი ჩხეიძეს, შალვა ღამბაშიძეს, დოდო ანთაძეს, სერგო ზაქარიაძეს, ვასო არაბიძეს, ვასო ურუშაძეს, არჩილ, ცუცა და თამარ არაბიძეებს...

ფაცია არაბიძეს ახსოვს სეზონები, რომლებიც მსახიობთა ხელით აგებულ საზაფხულო თეატრში მიმდინარეობდა. მაგრამ შემოქმედების ცეცხლით გამთბარ ამ ფაცხაში მაყურებელი ვერ გრძნობდა სიცხესა და სიცივეს. შემდეგ დასი ნელ-ნელა დაპატარავდა. ზოგმა დედაქალაქს მიაშურა, ზოგმა — ქუთაისს, ბათუმს. ფაცია არაბიძე კი არასოდეს განშორებია მშობლიური ქალაქის სცენას, სადაც 1949 წლამდე დაჰყო.

ახლა 80 წელი უკან მოიტოვა. მაინც მხნედ არის და გვპირდება კიდევ ერთხელ გაახაროს მაყურებელი.

ალა გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზენიკ სეირანიანი

# მოთხრობები დედაზე

## ძველი ჭრილო-ბისა

დედაჩემს ქომაგი ბევრი ჰყავდა: მთელ ჩვენს ოჯახსა და მეზობლობას მისი მხარე ეჭირა.

სულ სხვა იყო მამაჩემის ხვედრი — ბედს მისთვის მარტოობა ერგუნა.

და ასე ობლად რომ არ ეგრძნო თავი, მტყუანი იყო თუ მართალი, მუდამ მას ვემხრობოდი, რითაც, ჩემდაუნებლიეთ, დედას ვაგულისებდი.

— ეე, შენ ჯერ არ იცი... რომ იცოდე, მაგას ზედ არ შეხედავ... ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზული კილოთი იტყოდა დედაჩემი. დედა, ჩანდა, გულში რაღაცას ინახავდა იდუმალ.

მოხუცდა ორივე და, ერთ დღეს, დედამ არ ვიცი, ჩვეულებრივზე უფრო გაჯავრებული იყო, თუ საერთოდ შიშობდა, ღმერთს რაიმე უბედურება არ დაეტეხა მისთვის თავზე და თქმა არ დასცლოდა, როგორც იქნა, გამიმხილა საიდუმლო.

თურმე, ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა მე ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი ვყოფილვარ, ერთ წვიმიან გაზაფხულს, მთის გზაზე, დედის მკერდზე მიხუტებულს იმდენი მიღნავლია, იმდენი მიტირია, მამაჩემი მოთმინებიდან გამოსულა და დედას გასწყრომია:

— ახლავ ჩააწყვეტინე ხმა, თორემ ავიღებ და ხევში ვისვრით.

თავზარდაცემულ დედას ხევისკენ გადაუხედავს და გულში უფრო მაგრად ჩავუკვრივარ. მამის ერთ მოუფიქრებელ სიტყვას ღრმა ჭრილობა ჩაუტოვებია მის გულში. და აი სწორედ იმ ჭრილობის კვალია, აქამდის რომ მოჰყოლია.

— ახლა ხომ დარწმუნდი? — აღელვებული მომიბრუნდა დედა და მის თვალებში ცრემლის წვეთები შევნიშნე.

მას ჯერ ისევ ახსოვდა.

აჰ, დედის გულო, დედის გულო!..

## საღამო ჟამს

სოფელში ბევრს ეგონა, რომ დედამისი ამ დარდს ვერ გადაიტანსო, მაგრამ ჭირს გაუმაგრდა და აქამდის მოატანა.

— მე რომ მოვკვდე, ჩემი ლეონის კერა ვილამ გააჩაღოს?..

მისი შვილი ლეონი მძაფრი საჰაერო ბრძოლის დროს დაღუპულიყო და თანასოფლელები დიდად დაემწუხრებინა. შვილის დაღუპვის ამბავს დიდხანს უმალავდნენ დედას. ომის შემდეგაც არ უმხელდნენ. იქნებ არც არასდროს გაემხილათ, პენსიის საკითხი რომ არ გამომტყვრალიყო.

გაიგო დეიდა ატლასმა, კბილი კბილს დააჭირა, რომ არ ეკივლა. გადაყლაპა ყელსმობჯენილი ცრემლები, გულში ჩაიხვია დარდი და ახლაც, ისე როგორც მშობიარობის დროს, არაფერი შეიმჩნია.

მოაგონდა, რომ დიდი ხნის წინათ, ერთმა მაწანწალა ბოშამ უთხრა: თუ გულადი შვილი გსურს, მშობიარობის დროს კრინტი არ დაძრა და ჩქამიც არ გაიღოო. და კიდეც აიტანა. ასევე უხმოდ აიტანა ტკივილი, შვილის დაღუპვა რომ გაიგო.

გაუმაგრდა ჭირს და აქამდის მოატანა, ლეონის ნახვის წყურვილი რომ მოეკლა, მისი კერა რომ არ გაეცივებინა.

მხოლოდ ერთი რამ დასჩემდა: ყოველ საღამოს გამოვიდოდა ფერმიდან, ჩამოჯდებოდა ხეობისკენ პირმიქცეულ კლდის ქიმზე, სახეს შეაბრუნებდა და იცქირებოდა შორს, შორს... და ფერმის ხალხს ეგონა, ძროხებს ელოდება დეიდა ატლასიო...

მაგრამ არა. ყოველ საღამოს, ზუსტად ერთსა და იმავე დროს, მთისა და ხეობების თავზე, ცის ლაჟვარდი უნდა გაეხია და გრიალით გაევლო სარეისო თვითმფრინავს.

დეიდა ატლასი მის შესახვედრად გამოდიოდა, თვალით აცილებდა და ეჩვენებოდა, შიგ მისი შვილი იყო — ლეონი, მისი არწივი.

და ეს ყოველ საღამოს მეორდებოდა...

**სომხურიდან თარგმნა**
**მამია თაქთარიანმა.**

# ზოგი რამ ძველი ადათ-ჩვევების შესახებ

საინგილოში დარჩენილია ზოგი ადათ-ჩვევა. რომელსაც დღესაც მტკიცედ იცავს ინგილო.

აქ დიდ სირცხვილად ითვლება ლოთობა, დათრობა. რა თქმა უნდა, ეს ღვინის დაზოგვის მიზნით არ ხდება — ღვინო ბევრია საინგილოში.

ლხინსა თუ ტირილში, მაგიდის უფროსი — თამადა მკაცრად ადევნებს თვალს, რომ ვინმემ ზედმეტი არ დალიოს, არ დათვრეს, წესრიგი არ დაარღვიოს და ჩხუბი არ ატეხოს. თუ ასეთი რამ შეამჩნია თამადამ, მაშინვე ეტყვის: „შენ ჰეი, თავში მეტ მოგდის, ადე, წა!“

მაგიდის წევრი უჩუმრად ტოვებს ადგილს და მიდის.

კიდევ მეტი:

იგი ცდილობს ბილიკ-ბილიკ წავიდეს სახლისაკენ, რომ დიდ შარაზე არ გამოჩნდეს და ხალხმა არ დასცინოს. ეს წესი დღესაც ისე სრულდება საინგილოში, როგორც რამდენიმე საუკუნის წინათ. ამიტომ აქ ჩხუბი და აყალ-მაყალი არასოდეს არ ხდება.

მაგრამ შემორჩენილა ზოგი სხვა ადათ-ჩვევაც, რომელსაც ინგილოები მავნედ თვლიან და თვითონვე ებრძვიან.

ასე, მაგალითად:

ძველად საინგილოში ქალს აკვანშივე ნიშნავდნენ.

— „ჩემ გადა კაის, შენ ქალ მააცემელ ხარ“![1] — ეტყოდა ვაჟის დედა ქალის დედას და ნიშანს მისცემდა.

წლების განმავლობაში ეს ოჯახები საჩუქრებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. სხვათაშორის, საპატარძლოს ვაჟის ოჯახში იმდენი ჭრელი წინდა უნდა გაეგზავნა, რამდენიც წევრი იყო ამ ოჯახში (საინგილოში ძველად დიდი ოჯახები იცოდნენ, ზოგჯერ ორმოც სულამდე აღწევდა), ოღონდ ეს წინდები აუცილებლად საპატარძლოს ხელით უნდა ყოფილიყო მოქსოვილი.

ქალ-ვაჟი ასაკოვანი გახდებოდა თუ არა, მშობლებს შორის მაჭანკლის საშუალებით მოლაპარაკება იწყებოდა. ეს მოლაპარაკება მთავრდებოდა იმით, რომ ვაჟის მშობლები ქალის მშობლებს, სხვა საჩუქრებთან ერთად, კარგა მოზრდილ თანხას გადაუხდიდნენ ქალის გამოსასყიდად. ამას „სამამისო“ თანხა ეწოდება. ამის შემდეგ იმართებოდა ნიშნობა და ქორწილი.

ნიშნობაცა და ქორწილიც საინგილოში

---

1. **ჩემი ბიჭი კარგია, შენი ქალი უნდა მიათხოვო.**

თავისებური იცოდნენ, მრავალი ცერემონიალისაგან შემდგარი. ქალის გათხოვება საინგილოში უდრიდა მის გაყიდვას, მოყვანა კი — ყიდვას. ამიტომ ქალი ისე შედიოდა ქმრის ოჯახში, როგორც ნაყიდი საქონელი. იგი ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული. თავის სიცოცხლეში დედამთილ-მამამთილს ვერ დაელაპარაკებოდა, ვერც ქმარს გასცემდა ხმას უფროსების თანდასწრებით, ვერც სუფრაზე დაჯდებოდა მათთან ერთად. თავისთვის მოფარებულში იჯდა და ბავშვებთან ერთად ჭამდა პურს;

მშობიარობის დროს ქალს ძველად ბოსელში აგდებდნენ. იქ იგი მარტოდმარტო უნდა ყოფილიყო, უპატრონოდ. არავინ ჰყავდა დამხმარე და ხელის შემწყობი. საჭმელს ნიჩბით აწვდიდნენ, როგორც უწმინდურ რამ არსებას. ქვეშ ჩალას უგებდნენ, თავქვეშ კუნძს უდებდნენ, რომ არ დასძინებოდა და ბავშვი ტირილით არ გაგუდულიყო.

ქალს მრავალნაირ მორჩილებასა და მოკრძალებას აკისრებდა ადათი საინგილოში.

ამ მორჩილებასა და მოკრძალებაზე მრავალი ლეგენდაა დარჩენილი, აი ერთი მათგანი:

ქალი ტანს იბანდა. ამ დროს დედამთილმა შეასწრო თვალი. ქალს შერცხვა და მიწაზე გაწვა. ზევიდან კი ჯეჯიმი წაიფარა დასაფარავად. იგი იმავე წუთს კუდ იქცა. ჯეჯიმი კი შერჩა ტანზე, როგორც სასჯელი ურცხვობისათვის.

ძველად ინგილომ სიმღერა არ იცოდა. ტირილსა და ვაებაში შობილი მუდამ გულჩათხრობილი დადიოდა, თითქოს გლოვობდა თავის გაჩენის დღეს.

მინდორში უიარაღოდ ვერ ბედავდა გასვლას, რადგან ეშინოდა, არ შეეპყროთ და მთებში არ გაექანებინათ გასასყიდად.

გავიდა ხანი... დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ყველა ჯურღმულში შეანათა და ინგილო ხალხი ენერგიულად შეებრძოლა ძველ სულთამხუთავ ადათ-ჩვევებს. ქალმაც ზურგიდან გადაიძრო ის სამარცხვინო ჯეჯიმი. ახლა საინგილოში ქალს აკვანში არ წიშნავენ, არც ბოსელში აგდებენ უპატრონოდ, რადგან საინგილოს ყველა უბანში არის საექიმო პუნქტი და საავადმყოფო. არც დედამთილ-მამამთილთან დალაპარაკების ეშინია მას.

მუდამ დინჯი, აუჩქარებელი ინგილო ახლა ღიმილით შესცქერის თავის შრომის უხვ ნაყოფს და სიხარულით აშენებს ახალ, ბედნიერ ცხოვრებას.

საინგილოს ახლა ბევრი ყავს ექიმი, აგრონომი, ინჟინერი, მასწავლებელი ქალი. ისინი თავისუფლად გამოდიან კრებაზე, ყრილობაზე, საზოგადოებაში და მამაკაცებთან ერთად მსჯელობენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე.

ჯეჯიმგადაცლილი ინგილო ქალი დღეს ლაღი და ბედნიერია.

**ალექსანდრა ჩხენკელი**

# ქალთა საბჭოებში

## სხდომებზე განიხილეს...

მეორე წელია, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის აბაშის რაიკომთან შეიქმნა ქალთა შორის მუშაობის რაიონული საბჭო.

საბჭოს სათავეში ჩაუდგა საქმიანი და ენერგიული ქალი ნინო მიქაძე — სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების გამგე.

საბჭომ მუშაობა დაიწყო იმით, რომ ჩაატარა ორდღიანი სემინარი ადგილკომებთან არსებულ ქალთა შორის მუშაობის კომისიების წარმომადგენლებთან, შემდეგ კი შეიმუშავეს კვარტალური გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით, აბაშის ქალთა საბჭო სისტემატურად იხილავს მრავალ საჭირბოროტო საკითხს.

ქალთა საბჭოს წევრები ეწვიენენ:

აბაშის მექანიკურ ქარხანას, სადაც ასობით ქალი მუშაობს. აინტერესებდათ ქალთა შრომისა და წარმოების უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა;

№ 2 საბავშვო ბაღს — შეამოწმეს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები;

აბაშის საქსოვ ფაბრიკას, სადაც მოისმინეს ქალთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარის გ. ახობაძის მოხსენება;

აბაშის ადგილობრივი მრეწველობის რაზინის წარმოებას, — აქ შეამოწმეს ქალთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ქალთა საბჭომ თავის სხდომებზე გამოიტანა:

ზანათის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 და № 2 საბავშვო ბაღების მუშაობის საკითხი, ამხილა ნაკლოვანებები. დღეს ზანათის საბჭოთა მეურნეობის № 1 და № 2 საბავშვო ბაღებში მდგომარეობა გამოსწორებულია.

ქალთა საბჭოს წევრმა, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. მიგინეიშვილმა მოამზადა მეტად სერიოზული საკითხი — ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებსა და რაიონულ სტამბაში ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულება.

სხდომაზე მოიწვიეს ამ საწარმოთა ხელმძღვანელები და მოწინავე მუშა ქალები. მათ იმსჯელეს წლობით მოუგვარებელი საქმეების ირგვლივ და გადაწყვიტეს, უახლოეს ხანში საწარმოებში მოეწყოთ სავენტილაციო დანადგარები გამოესწორებინათ სანიტარული პირობები და ნორმალურად გაენათებინათ სამუშაო ოთახები.

ქალთა საბჭომ იმსჯელა აგრეთვე სუჯუნის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში ბავშვთა მოვლისა და კვების მდგომარეობის შესახებ, აბაშის რაიკოოპკავშირის ქალთა შორის მუშაობის კომისიის საქმიანობისა და სხვა საკითხების ირგვლივ.

საბჭოს წევრებმა დიდი დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინეს სოფელ ქოლობნის მცხოვრებს — 5 შვილის დედას იზოლდა კანკია-მელქაძეს, რომელსაც მძიმე საბინაო პირობები ჰქონდა. ქალთა საბჭოს შუამდგომლობით, რაისაბჭოს აღმასკომმა და კოლმეურნეობამ მას ბინა შეუკეთეს და ამჟამად მელქაძეების ოჯახს კარგი საცხოვრებელი პირობები აქვს.

აბაშის ქალთა რაიონული საბჭოს წევრები: ნ. მიქაძე, ლ. კეთილაძე, თ. ახობაძე, ს. სიმონია, ტ. ქოიავა, ლ. მიგინეიშვილი დიდი მონდომებითა და მზრუნველობით სწავლობენ რაიონის ქალებისა და ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობებს. მოკლე დროში მათ ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრეს.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

## ქალთა სახალხო უნივერსიტეტი

რამდენიმე თვის წინ საჩხერის ქალთა რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე ე. დურმიშიძე) ერთი კარგი წინადადება წამოაყენა — შექმნილიყო ორწლიანი ქალთა რაიონული სახალხო უნივერსიტეტი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ და გასული წლის ოქტომბერში ქალთა სახალხო უნივერსიტეტში უკვე მოეწყო პირველი მეცადინეობა.

მეცადინეობაზე მოისმინეს საინტერესო მოხსენებები თემებზე: ქალის როლი კომუნიზმის მშენებლობაში“, „როგორი უნდა იყოს დედა“, „ბავშვთა ოჯახური აღზრდა“, „ქალი — დედა და აღმზრდელი“.

უნივერსიტეტს (რექტორი — შ. რუსთაველის სახელობის საჩხერის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი თ. ეზიაშვილი) სამი ფაკულტეტი აქვს: მედიცინისა და სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნის, მშობელთა პედაგოგიური განათლებისა და ესთეტიკური აღზრდის. ლექციები, რომლებსაც აქ კითხულობენ ყოველი თვის ოც რიცხვში, გაცხოველებულ კამათს იწვევს. მომავალში რექტორატს გადაწყვეტილი აქვს ექსკურსიების, კითხვა-პასუხის საღამოებისა და თეორიული კონფერენციების ჩატარება. უნივერსიტეტის მსმენელები შეხვდებიან რაიონის მოწინავე მშრომელებს, რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებს.

**ა. ანახაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ვატაგინი*,
სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი.



# აპოლონი და დაფნა

11308

ულმობელმა ბედმა ცხოვრებას ხელიდან გამოჰგლიჯა გენიალური მოსკოველი გოგონას — ნადია დუშევას სიცოცხლე. დიახ, გენიალური გოგონასი... ახლა აღარ გვეშინია ნაადრევი შეფასებისა.

რა აუნაზღაურებელი სულიერი დანაკარგია! იმათთვის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ნადიას ნამუშევრები, სამუდამოდ და უეცრად გაჰქრა სიხარულისა და დიდებულ სახეთა ერთ-ერთი წყარო.

ხუთი წლის წინათ დიდსა და აღტაცების გამომხატველ გამოხმაურებებით სავსე ალბომში მეც ჩავწერე: „მქონდა ბედნიერი და საპასუხისმგებლო შემთხვევა, ერთი წლის განმავლობაში თვალი მედევნებინა ნადია დუშევას არაჩვეულებრივი ნიჭის განვითარებისათვის. როგორც მხატვარი იგი, აშკარაა, ყოველ საათს იზრდება. მისი ნახატები ნამდვილად ვერ ეტევა „საბავშვო შემოქმედების" ჩარჩოებში, მაგრამ არც მოზრდილ მხატვართა შორის მეგულება ბევრი, რომელთაც შეეძლოთ შეედარონ ნადიას ტექნიკის სიმსუბუქეში, კომპოზიციის გაგებასა და სამყაროს შემოქმედებით აღქმაში".

...შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში კი, ყოველთვის, როცა ნადიას ჩემთან, სახელოსნოში ახალი ნამუშევარი მოჰქონდა, გახარებული ვიყავი მისი შემოქმედებითი სიახლეების ხილვით, პროპორციების გამომხატველობითა და სისწორით, და რაც მთავარია, მისი გმირების — ადამიანებისა და ცხოველების, ფანტასტური ცხენკაცებისა და სირინოზების, ნიმფებისა და სატირების სულიერი სილამაზით... კეთილნი იყვნენ მისი ქაჯები და კუდიანებიც კი...

ნადია იზრდებოდა, თანდათან ეუფლებოდა აკვარელს, ტემპერას, მონოტიპსა და ოფორტს, მაგრამ მის მთავარ დამახასიათებელ ნიშანთვისებად მაინც კალმით ან ფერადი ფლომასტერით ერთი ხელის მოსმით გატარებული მოქნილი ხაზი რჩებოდა.

1967 წელს მე ვინახულე ნადიას ერთ-ერთი გამოფენა ხელოვნების ცენტრალურ სახლში, სადაც იგი ვარშავაში მოგზაურობის შემდეგ ანგარიშს აბარებდა და საუბრის დროს აღვნიშნე, ნადიამ მშვიდობით გაიარა გარდატეხის ასაკი და დახელოვნებას განაგრძობს-მეთქი.



აპოლონი და დაფნა

ვიყავი აგრეთვე 1968 წელს ტოლსტოის მუზეუმში მოწყობილ საოცარ გამოფენაზეც, სადაც ნადია ყმაწვილის თვალით წაკითხულ „ომისა და მშვიდობის" 75 ნახატს გვიჩვენებდა.

აი მისი საყვარელი პიერი — იგი ვიღაცის ბავშვს შველის მოსკოვის ხანძრის დროს, ანდა უცნობი ქალის დასაცავად უიარაღოდ მივარდნია მთვრალ ფრანგ ჯარისკაცს.

დაუხატავს კუტუზოვი ომისწინა სამხედრო თათბირზე; რუსეთისა და მოსკოვის ბედზე ჩაფიქრებული. რა კარგად გამოსვლია ნატაშა როსტოვას სახე, მისი უამრავი სიხარული და დაბნეულობა! მშვენიერია ნატაშა, როცა მშობლების შეგონებით, პეტიასა და ძიძასთან ერთად ბოროდინოს დაჭრილი გმირი ჯარისკაცებისთვის გრაფების ტრანსპორტს ანთავისუფლებს.

ნადიას აღელვებს ფრთაშესხმული პეტია როსტოვიც. პეტია თავის ვახშამს მედოლე ბიჭს აძლევს, თვითონ კი პირველსავე ბრძოლაში იღუპება... როგორი დასამახსოვრებელია თოვლში გა-

* ცნობილი საბჭოთა მხატვარი ვ. ვატაგინი ამ სტატიის დაწერის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოტილი სამშობლოს დამცველი ჭაბუკი!

გამოფენა მთავრდებოდა დიდი და მეტად ბრძნული კომპოზიციით — „ნატაშა — ბედნიერი დედა". ნატაშას ფერხთით სამი გოგონა დედოფალებით თამაშობს. თვითონ ნატაშას კი მეოთხე — ვაჟი უჭირავს!

ახლა რომ მისი „ომისა და მშვიდობის" ალბომი გამოვიდოდეს, რამდენი ნახატი ამოირჩეოდა 400 ნამუშევრიდან.

1968 წლის ზაფხულის არდადაგებზე თექვსმეტი წლის ნადიამ ფუნჯითა და ფლომასტერით ასი ნახატი შექმნა მ. ბულგაკოვის რომანისათვის „ოსტატი და მარგარიტა"... რა ნიჭიერად, რა უბრალოდ გაართვა თავი რომანის ფილოსოფიურ კონცეფციებს. რა დამაჯერებლადა აქვს გადმოცემული ავადმყოფი ოსტატი და მარგარიტას მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა, პილატეს სიმკაცრე, იეუშის თავგანწირვა, იუდას ღალატი და ვოლანდისა და მისი ავსული თანამგზავრების ფანტასმაგორია.

როდის ასწრებდა ამდენს ეს თავმდაბალი, აუჩქარებელი გოგონა? (ნადიას 10.000 ნახატი დარჩა).

თავის ასაკთან შედარებით ძალიან ბევრს კითხულობდა, უყვარდა მუსიკა, ცეკვა, თეატრი, კინო; დადიოდა მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, ვარშავის მუზეუმებსა და მხატვართა სახელოსნოებში. ასწრებდა მეგობრებთან მიწერ-მოწერას, განსაკუთრებით — არტეკის პიონერებთან. იგი გახლდათ პიონერთა III საკავშირო შეკრების მონაწილე. პიონერებმა დარდით განადგურებულ ნადიას მშობლებს მისი წერილები გამოუგზავნეს — რამდენი სიბრძნე და ოცნებებია ამ წერილებში, რომლებიც ნახატებითაა შესრულებული...

მე და ნადიამ ერთმანეთი უკანასკნელად იანვრის არდადეგებზე ვნახეთ... მაღალი იყო უკვე, ტანაშოლტილი, ლონიერი; მშვენიერი აღმოსავლური თვალები სავსე ჰქონდა სიდინჯითა და სითბოთი. როგორც ყოველთვის, უსიტყვოდ მიჩვენებდა ახალ ნახატებს: „პუშკინიანადან", „ანტიკური ცხოვრებიდან", სერიიდან—„თანამედროვე ახალგაზრდობა", „ოსტატსა და მარგარიტადან", თითონ ცდილობდა, უფრო მეტად, ჩემი ნახატები ეთვალიერებინა.

როცა მისი უეცარი სიკვდილის შემდეგ (გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით, 6 მარტს, დილით, ჩვიდმეტი წლისა), თავზარდაცემული, თვალცრემლიანი, მის უკანასკნელ ნამუშევრებს ვათვალიერებდი, უეცრად წავაწყდი გამჭვირვალე ლამაზ კომპოზიციას: „აპოლონი და დაფნა". ეს ნახატი თითქოს მხატვრის წინათგრძნობის შედეგი იყო.

მინდა ამ ნაღვლიანი მითის შინაარსი მოგაგონოთ: სინათლისა და ხელოვნების ბედნიერმა ღმერთმა აპოლონმა დარდიც იცის...

ერთხელ ურჩხულზე გამარჯვებით გაამაყებულმა აპოლონმა გვერდით სიყვარულის ჭაბუკი ღმერთი, ოქროსმშვილდიანი ეროტე დაინახა და სიცილით უთხრა: „რად გინდა, ყმაწვილო, ეს მრისხანე იარაღი? მე ხომ არ მედრები, ისრის მტყორცნელს?"

შეურაცხყოფილმა ეროტემ ორი ისარი იძრო, ერთით — სიყვარულის გამომწვევით, აპოლონი დასჭრა, მეორეთი — სიყვარულის მომსპობით კი — ნორჩი ნიმფა — დაფნა...





ზემფირას ცეკვა. ილუსტრაცია პუშკინის პოემისათვის „ბოშები".

დაინახა თუ არა დაფნამ ხუჭუჭა, ოქროსთმიანი აპოლონი, წამსვე გაიქცა, შეყვარებული აპოლონი მარდად გამოედევნა. ჰა, საცაა დაეწევა... მაშინ დაფნამ შეჰღაღადა: „მიწავ, გაიპე და მიყავი პირი!" და, უმალ გაუშეშდა სხეული დაფნას, ხის ქერქმა დაფარა მისი ნაზი ტანი, ფოთლებად ექცა თმა, ზეცისაკენ ვედრებით აპყრობილი მკლავები კი წერწეტა დაფნის რტოებად...

დიდხანს იდგა დაფნის წინ თავზარდაცემული აპოლონი. ბოლოს კი თქვა: „დაე, დღეიდან შენი რტოებიდან შეკრული გვირგვინი ამშვენებდეს ჩემს თავს, შენი ფოთლები ალამაზებდეს ჩემს ფარსა და ჯავშანს, ნურასოდეს დამჭკნარიყოს სიმწვანე შენი..."

დაე, ნადია დუშევას თვითმყოფადი, უმაგალითო შემოქმედების უხვი ფოთლებიც ამშვენებდეს ჩვენს ხელოვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქს ფრიში

# ამბავი ისიდორესი

იუმორისტული მოთხრობა

მხატვარი ო. ჩხარტიშვილი

მე თქვენ ისიდორეზე ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით, ნამდვილ ამბავს! ისიდორე მეაფთიაქე იყო, მაშასადამე, ერთი კეთილსინდისიერი ადამიანი; შემოსავალიც გვარიანი ჰქონდა რამდენიმე შვილი ჰყავდა, მოწიფულობის ასაკში იყო შესული; სიტყვამ მოიტანა და იმასაც გეტყვით, რომ ერთგული ქმარი გახლდათ; ერთადერთი, რასაც ისიდორე ვერ იტანდა, იყო გამუდმებული შეკითხვები: „სად იყავიო“. ასეთ შეკითხვაზე იგი ცოფდებოდა, შინაგანად იპყრობდა სიბრაზე, თორემ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. დავიდარაბის ატეხა არ ღირდა, რადგან, როგორც თავიდანვე მოგახსენეთ, ბედნიერი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. ერთ მშვენიერ ზაფხულს ცოლ-ქმარმა გადასწყვიტა, მაიორკაზე ემოგზაურათ, როგორც იმჟამად მოდაში იყო, და რომ ცოლის გაუთავებელი შეკითხვები არა, რაც ისიდორეს შეუმჩნეველ ბრაზს ჰგვრიდა, ყველაფერს საუკეთესო პირი უჩანდა. როცა ისიდორე შვებულებაში იყო, ენითუთქმელ სისათუთეს იჩენდა. თვალწარმტაცმა ავინიონმა ორივე მოხიბლა; ისინი ხელიხელ გაყრილი დასეირნობდნენ. ისიდორე და მისი ცოლი, რომელიც ძალიან სანდომიან არსებად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ზუსტად ცხრა წლის შეუღლებულები იყვნენ, როცა მარსელში ჩავიდნენ. სურათზე დახატულივით ბრწყინავდა ხმელთაშუა ზღვა. მიუხედავად ცოლის გაუთავებელი ბუზღუნისა (ქალი ამ დროს მაიორკისაკენ მიმავალ გემზე იდგა), ისიდორემ უკანასკნელ წუთს რომელიღაც გაზეთის ყიდვა მოიწადინა. ცოტა არ იყოს, ცოლის ჯიბრზეც მოიქცა ასე, სიკერპით მოუვიდა, აქაოდა ყოველთვის რატომ მეკითხები — სად მიდიხარო?! ღმერთია მოწამე, ისიდორემ თვითონაც არ იცოდა სად მიდიოდა; რაკი გემი ჯერ არ გადიოდა, იფიქრა, როგორც კაცებს სჩვევიათ, გავივლ-გამოვივლიო. როგორც უკვე ვთქვით, ისიდორემ ცოლის ჯიბრზე და სიკერპით რომელიღაცა ფრანგულ გაზეთში ჩარგო თავი; ამ დროს კი მისი ცოლი თვალწარმტაცი მაიორკისაკენ დაადგა გზას. ხოლო როცა შემაშფოთებელი საყვირისაგან შეშინებულმა ისიდორემ გაზეთიდან თავი აიღო, ნახა, რომ ცოლის გვერდით კი არ იდგა, არამედ რომელიღაცა საკმაოდ ჭუჭყიან სატვირთო გემზე ამოეყო თავი. გემი ყვითელფორმიანი, მოყაყანე კაცებით იყო გატენილი და ხრჩოლავდა. ის-ის იყო ბაგირები ახსნეს. ისიდორემ იმის დანახვაღა მოასწრო, თუ როგორ მოსცილდა გემი ნაპირს. რა იყო მიზეზი, საზიზღარი სიცხე თუ ის, რომ ფრანგმა ოფიცერმა ნიკაპში მუშტი მოსდო, კარგად ვერ გეტყვით, უცებ ისიდორემ გრძნობა დაკარგა. მაგრამ მაინც გადაჭრით შემიძლია გითხრათ, მეაფთიაქე-ისიდორე უცხოურ ლეგიონში უფრო მკაცრ პირობებში ცხოვრობდა, ვიდრე აქამდე; გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ყვითელი ფორტი, სადაც ისიდორეს სამხედრო საქმეს ასწავლიდნენ, ეულივით იდგა უდაბნოში. მაშინ კი ისწავლა ისიდორემ, რა ფასი ჰქონდა მზის ჩასვლას. ცხადია, ხამუშხამუშ ცოლზეც ფიქრობდა და თუ სალავათგამოცლილი არ იყო, წერილსაც სიამოვნებით სწერდა, მაგრამ წერა ნებადართული არ იყო. საფრანგეთი ჯერ ისევ თავისი კოლონიების შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ასე რომ, ისიდორემ მალე მთელი მსოფლიო შემოიარა, თუმცა ასეთ მოგზაურობაზე არასოდეს არ უოცნებია. თავისი აფთიაქი ისევე დაივიწყა, როგორც კომუნალურ წარსულს ივიწყებენ ხოლმე. ეს გასაგებიცაა... დროთა განმავლობაში ისიდორე სამშობლოზე სევდასაც გადაეჩვია, იმ ქვეყანაზე, რომელიც საბუთების მიხედვით მის სამშობლოდ ითვლებოდა. ისიდორეს მხრივ დიდი პატიოსნება იყო, რომ მრავალი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დილას მან თავისი ბაღის ჭიშკარში შეაბიჯა. წვერმოშვებული და გამხდარი იყო, ტროპიკული სიცხისაგან თავდასაფარავი ჩაფხუტი იღლიაში ამოედო, ვინძლო მეზობლებს, რომლებიც მეაფთიაქეს დიდიხანია მკვდრად სთვლიდნენ, ყურადღება არ მიექციათ და მის ისედაც უჩვეულო ჩაცმულობაზე არ შეშფოთებულიყვნენ; რასაკვირველია, ისიდორეს წელზე რევოლვერიც ეკიდა. ეს იყო ზაფხულის დილა, მისი მეუღლის დაბადების დღე, მეუღლისა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ისიდორეს უყვარდა, მიუხედავად იმისა, წლების მანძილზე ერთი ღია ბარათიც არ აღირსა. ისიდორემ სახეუცვლელ საკუთარ სახლს შეხედა, ხელი გაუპოხავ და ძველებურად მოჭრიალე ბაღის ჭიშკარზე ედო. წამით შეყოყმანდა, ერთ ამოსუნთქვას რომ ეყოფოდა, იმდენხანს შეჩერდა. ხუთმა ბავშვმა, ყველანი რაღაცით მამას რომ ჩამოჰგავდნენ, მაგრამ ყველანი შვიდი წლით გაზრდილიყვნენ (ისიდორეს როგორღაც ეუცხოვა კიდევაც მათი დანახვა), უკვე შორიდანვე შეჰყვირეს: მამიკო! უკან დახევა შეუძლებელი იყო. და ისიდორემ იმ კაცივით გადადგა ნაბიჯი, რომელიც ცხარე ბრძოლებში იყო გამოვლილი და რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მისი საყვარელი ცოლი, რაკი ქმარი სახლში დაიგულა, აღარ შეეკითხებოდა, სად იყავიო? ისიდორე გაზონს ყიალით მიუყვებოდა, ისე თითქოს, აფრიკიდან ანდა ინდოჩინეთიდან კი არა, თავისი აფთიაქიდან ბრუნდებოდა. ცოლი ახალი ქოლგის ქვეშ დამუნჯებულივით იჯდა. ისიდორეს ცოლის ტანზე ასეთი დილის ხალათი არასოდეს ენახა. მოსამსახურე გოგომ (ესეც სიახლე იყო) წვეროსანი ბატონისათვის იმწუთსავე მეორე ფინჯანი მოარბენინა, ეჭვს გარეშეა, რომ წვეროსანი ბატონი ოჯახის ახალ მეგობრად მიიჩნია. მაგრამ განა ამისათვის მოსამსახურე გოგოს საყვედური ეთქმის? „ამ მხარეში სიგრილეები სცოდნია“, ფიქრობდა ისიდორე და თან ხალათის აკაპიწებულ სახელოებს უშვებდა. ბავშვებმა, რაკი ტროპიკული ჩაფხუტი სათამაშოდ ხელთ იგდეს, გაიხარეს, მაგრამ რასაკვირველია, თამაში უაყალმაყალოდ მაინც ვერ ეწყობოდა, და როცა ახალი ყავა მოიტანეს, სრულყოფილმა იდილიამ დაისადგურა: იყო ზაფხულის დილა, ზარების რეკვა, და მაგიდაზე იყო დაბადების დღისათვის დამზადებული ტორტი. მეტს რაღას ისურვებდა ისიდორე! მოსამსახურე გოგოსთვის, რომელიც სწორედ იმ წუთას ჭურჭელს აწყობდა, ისიდორეს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, ისე მოჰხვია ცოლს ხელი. „ისიდორე!“ წარმოსთქვა ცოლმა, რადგან ყავის დასხმა ველარ შესძლო, ისე რომ წვეროსანი სტუმარი იძულებული გახდა თვითონვე დაესხა. „რა გინდა?“ ნაზად შეეკითხა ისიდორე და თან ცოლის ფინჯანს ყავით ავსებდა. „ისიდორე“! კვლავ წარმოსთქვა ქალმა და სატირლად მოემზადა: ისიდორე ცოლს მოეხვია. „ისიდორე! ამდენი ხანი სად იყავი?“ — შეეკითხა ქალი. კაცი წამით დაბნეულივით გაშეშდა, ფინჯანი დადგა; იგი უკვე გადაჩვეული იყო, რომ ცოლი ჰყავდა. წამოდგა, შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ვარდის ბუჩქთან გაჩერდა. „ერთი ღია ბარათი მაინც რატომ არ მომწერე?“ — განაგრძო ქალმა. ისიდორემ შეცბუნებულ ბავშვებს ტროპიკული ჩაფხუტი ხმის ამოუღებლად გამოართვა, ხელის ჩვეული სხარტი მოძრაობით თავზე დაიხურა, რასაც, ჩემის აზრით, ბავშვებზე წარუშლელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა და მთელი ცხოვრების მანძილზე დამახსოვრებოდათ, მამიკო ტროპიკული ჩაფხუტითა და რევოლვერის ბუდით. და როცა ცოლმა წარმოსთქვა: „იცი, ისიდორე, შენ ასე ნამდვილად არ უნდა მოქცეულიყავიო!“ ისიდორეს სახლში მყუდროდ ყოფნა უკვე ყელში ამოუვიდა, ბუდიდან რევოლვერი ამოაძრო (კვლავ ხელის სხარტი მოძრაობით) და ფაფუკ, ამდრომდე ჯერ კიდევ ხელუხლებელ ნაღებიან ტორტს შიგ შუაგულში სამჯერ ზედიზედ დაახალა. ამ ამბავმა, მგონი თქვენ-



თვისაც ადვილი წარმოსადგენი [illegible], მრავლისმეტყველი აურზაური გამოიწვია „რა დაგემართა, ისიდორე!“ იყვირა ქალმა, რადგან დილის ხალათი სულ მთლად ნაღებით მოეთხვარა; უდანაშაულო ბავშვები რომ ყოვლის მომსწრენი არ ყოფილიყვნენ, მაშინ ქალი ამ სტუმრობას, რომელიც სხვათაშორის, რაღაც ათი წუთი ძლივს გაგრძელდა, ჰალუცინაციად ჩასთვლიდა. ნიო‑ბესავით ხუთი ბავშვით გარშემორტყმულმა ქალმა მხოლოდ თვალი გააყოლა უპასუხისმგებლო, არაჩვეულებრივი ჩაფხუტით თავდამშვენებულ ისიდორეს, რომელიც მშვიდი ნაბიჯებით ბაღის ჭიშკარში გადიოდა. ასეთი შოკის შემდეგ საცოდავ ქალს აღარ შეეძლო ტორტისთვის შეეხედა და ისიდორე არ გახსენებოდა. ასეთი მდგომარეობა ქალის მიმართ სინანულის გრძნობით გავსებდათ, და ოთხი თვალი იყო ეს თუ ერთად ალებული ოცდათექვსმეტი, ყველანი ერთხმად გაყრას ურჩევდნენ. მაგრამ ყოჩაღი ქალი ჯერ კიდევ იმედს არ კარგავდა. დანაშაულის მიზეზი დღესავით ნათელი იყო. იმედოვნებდა, ისიდორე შეცდომას მოინანიებსო; ქალი მხოლოდ ისიდორესაგან შეძენილი ბავშვებისათვის ცხოვრობდა. პენელოპეს მსგავსად უარსეუბნებოდა ახალგაზრდა ადვოკატს, რომელსაც პირადი ინტერესები ალაპარაკებდა და ქალს მთელი ერთი წელიწადი ეჩიჩინებოდა განქორწინებაზე დათანხმდიო. კვლავ მოვიდა ცოლის დაბადების დღე და ზუსტად ერთი წლის შემდეგ ისიდორე კვლავ დაბრუნდა, ჩვეულებრივად სალამი თქვა, ხალათის სახელოები ჩამოიწია და ტროპიკული ჩაფხუტი ამჯერადაც ბავშვებს მისცა სათამაშოდ, მაგრამ ახლა მამის სახლში ყოფნით გამოწვეული სიამოვნება მხოლოდ სამ წუთამდე გაგრძელდა. „ისიდორე! — წარმოთქვა ცოლმა, — ახლა სადღა იყავი?“ ისიდორე წამოდგა, მადლი ღმერთს, არ გაუსვრია, არც უდანაშაულო ბავშვებისათვის წაურთმევია ტროპიკული ჩაფხუტი, არა, მხოლოდ წამოდგა, ხალათის სახელოები კვლავ აიკაპიწა და ბაღის ჭიშკარში გაალაჯა, რათა აღარასოდეს დაბრუნებულიყო. საცოდავმა ქალმა უზომოდ ბევრი ცრემლი ღვარა, როცა განქორწინების მოწმობას ხელს აწერდა. მაგრამ სხვა გზა არ იყო, კანონით დაწესებული დროის მანძილზე ისიდორემ თავისი ასავალ-დასავალი არავის შეატყობინა; მისი აფთიაქი გაყიდეს, ახალი ცოლ-ქმარი უბრალოდ და ჩაკეტილად ცხოვრობდნენ და კანონით დაწესებული დროის გასვლის შემდეგ მმაჩის ბიუროში გააფორმეს ქორწინება, ერთი სიტყვით, ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით გააკეთეს, რაც მოზარდი ბავშვებისათვის ასე მნიშვნელოვანი იყო. კითხვა, სად გაატარა მამამ დარჩენილი ამქვეყნიური ცხოვრება, არასოდეს დასმულა. ღია ბარათიც არასოდეს არ მოსულა. არც დედას სურდა ბავშვებს ამის შესახებ რაიმე ეკითხათ. კარგი იყო, დედასაც არასოდეს არაფერი ეკითხა მამისათვის.

გერმანულიდან თარგმნა **ნოდარ რუხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი სახალხო კლუბი

აღზრდის ხელოვნება

# დედაენის დაუფლება სწორი აღზრდის საფუძველია

იაკობ გოგებაშვილმა დედაენას „ეროვნების ბურჯი“ უწოდა და მიუთითა: „დედაენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრ-ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივს ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონითა და მხნეობით“.

დედაენის ზედმიწევნით შესწავლა ისევე საჭიროა, — განაგრძობს ი. გოგებაშვილი, — როგორც ჰაერის სუნთქვა, მშობლიური ენის შესწავლის გარეშე ადამიანის ნორმალური განვითარება შეუძლებელია, „ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთახდაა“..

აქედან გასაგებია, რომ პირველი მოთხოვნა, რაც ჩვენს მშობლებს უნდა წავუყენოთ შვილების სწორი გონებრივი აღზრდის საქმეში, ეს არის დედაენის დაფასება, ზრუნვა მისი მტკიცედ დაუფლებისათვის, ზრუნვა იმ ბაზის შესაქმნელად, რომელსაც უნდა დაემყაროს შემდგომში ბავშვის მთელი სულიერი ცხოვრება, რომელშიც უნდა აისახოს ადამიანის აზროვნების განვითარება, რადგან, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, აზროვნება და მეტყველება ყოველთვის ერთად მიიკვლევენ გზას, მეტყველებაში უნდა გამოიხატოს ადამიანის მთელი ცოდნა და გამოცდილება.

ზოგ მშობელს ჰგონია, რომ ახალგაზრდას კულტურას იმით შესძენს, თუ მდიდრულად ჩააცმევს, ულტრამოდურ გარეგნობას მისცემს. სინამდვილეში გარეგნული ბრწყინვალება კი არ ქმნის ადამიანის კულტურას, არამედ მისი შინაგანი ღირსებანი, სათნოება, ზნეობრივი სიმაღლე, გონებრივი სიმდიდრე, თავდაჭერილი, ზრდილობიანი ყოფა-ქცევა, გულითადი გრძნობები და სწორი, გამართული მეტყველება, როგორც გვირგვინი მისი პიროვნული ძლევამოსილებისა, როგორც გამომხატველი საუკეთესო ადამიანური თვისებებისა. შინაარსით მდიდარი და განვითარებული ადამიანის მეტყველება შესაბამისად მდიდარი, ფაქიზი და მიმზიდველია, რადგან შოთა რუსთაველისა არ იყოს:

„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!“

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოჯახი მეტყველების პირველი კერაა, რომ აქ იზრდება და ვითარდება ბავშვი, აქ იდგამს ფეხს, აქვე იწყებს ტიტინს, რაც შემდგომში ლაპარაკის პროცესად იქცევა. ეს უკანასკნელი კი მტკიცედ არის გადაჯაჭვული ბავშვის ფსიქიკურ სამყაროსთან, მის ემოციურ აღქმასთან. სწორედ ამიტომ უწოდებენ ბავშვობიდან შესწავლილ ენას დედაენას, რომელიც „გულის ენად“ არის აღიარებული, იმ დროს, როდესაც შემდგომში შესწავლილი ენები მარტოოდენ „მეხსიერების ენებად“ ითვლება.

აკვნის პერიოდში, დედის ძუძუსთან ლუღლუღითა და ტიკტიკით წარმოთქმული სიტყვები და სიტყვათა ნაწილები ის პირველი ენობრივი მასალაა, რომელიც შემდგომ, გარემო სინამდვილის შეცნობის კვალდაკვალ, თანდათანობით იზრდება, მტკიცდება და ადამიანის გამართულ მეტყველებად ყალიბდება, ადამიანის ცხოვრების ორგანულ ნაწილად გვევლინება.

მშობლის ზრუნვა შვილის მეტყველების განვითარებისათვის სწორედ იმ პერიოდიდან უნდა იწყებოდეს, როდესაც ბავშვი, როგორც ჩვენში მოხდენილად იტყვიან, „ენას ებრძვის“, როდესაც საფუძველი ეყრება მოზარდის მეტყველებას.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი დედა, ნაცვლად იმისა, რომ დაეხმაროს პატარას მეტყველების პროცესში ანუ „ენის ამოდგმაში“, რაც თავის მხრივ საკმაოდ რთული და ერთგვარად მტკივნეული პროცესიც არის, თვითონ იჩლიქს ენას, ემორჩილება შვილის წარმოთქმულს, ლაპარაკობს მისი ბგერებითა და სიტყვებით; ეს კი დიდი დანაშაულია. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები საკმაოდ გავრცელებულია და მშობლიური ალერსისა თუ სიყვარულის გამოხატულებად ითვლება. „კოკა, ბაბა, კაკა, ბუა, წიწია, აჩუ“, — ეუბნება პატარას დედა, იმის ნაცვლად, რომ თქვას: ყველი, პური, ხილი, ცეცხლი...

ამეტყველების რთული პროცესისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგად ფერხდება მოზარდის ენობრივი განვითარება და ზოგჯერ მახინჯდება კიდეც, რის გამოც უკვე ზრდადასრულებულ მოქალაქეს წარმოთქმის ესა თუ ის ნაკლიც გამოჰყვება ხოლმე. ზოგი მშობელი აღარ აცლის შვილს მომაგრდეს მშობლიურ მეტყველებაში, გაიმართოს მის პოხიერ ნიადაგზე და ჩქარობს მის გადაყვანას სხვა ენების შესწავლაზე... ზოგი ტიტინის პერიოდში ასწავლის ბავშვს უხამს გამოთქმებს, ყბედობას, ნორჩი ადამიანის ბუნებისათვის შეუფერებელ სიტყვა-პასუხს, თავისი გართობის საგნად აქცევს შვილის სასიყვარულო ტიტინს და ამით ძირშივე კლავს მოზარდის გატაცებას, მის შემოქმედებითს ინიციატივას.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ოთხი წლის მზიას მამამ ასწავლა ლექსი: „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“, რომელსაც ბავშვი მკაფიოდ, მიმზიდველად წარმოთქვამდა შინაურთა წრეში. ერთხელ მამამ სტუმრებთან, შუა ვახშამზე მოინდომა მზიას დეკლამაციით გართობა. ბავშვი კი უცხოთა წინაშე შეკრთა და დადუმდა. ეს ბუნებრივიც იყო, მაგრამ მშობლები ჩააცივდნენ, საჩუქრებიც აღუთქვეს, მაინც ვერა და ვერ ამოადგმევინეს ენა. მშობლები გაჯავრდნენ, დატუქსეს გოგონა. სტუმრების წასვლის შემდეგ დედამ დასაჯა კიდეც. ბავშვი, ცხადია, ვერ მიხვდა დასჯის მიზეზს და იმდღიდან შეიძულა ლექსის თქმა და უცხოებთან ლაპარაკიც კი აღიკვეთა.

მშობელი ვალდებულია ბავშვი თავიდანვე მიაჩვიოს სწორ, გამართულ ლიტერატურულ მეტყველებას, გამოუმუშავოს მკაფიო წარმოთქმის, სიტყვების დანიშნულებისამებრ მოხმარების უნარი. იგი ხშირად უნდა უსწორებდეს შვილს არასწორ გამოთქმებს, ასწავლიდეს ახალი მოვლენებისა და ცნებების აღმნიშვნელ სიტყვებს, დაუზარებლად უპასუხებდეს ბავშვური ცნობისმოყვარეობით აღძრულ შეკითხვებს. ამგვარი ზრუნვა არ უნდა შენელდეს მაშინაც კი, როცა ბავშვი სკოლაში დაიწყებს სიარულს.

ჩვენი სკოლის ძირითად ამოცანას შეადგენს გამოუმუშაოს ახალ თაობას ცოდნის შესაბამისი, განვითარებული ლიტერატურული მეტყველება. ოჯახი, ისე, როგორც სხვა საკითხებში, ამ საპატიო ამოცანის შესრულე-

ბაშიც მხარდამხარ უნდა მისდევდეს სკოლას და ეხმარებოდეს მას.

თუ ბავშვი ოჯახიდან მოუწესრიგებელი, ამღვრეული და გაუმართავი მეტყველებით მოდის, ეს მძიმე ტვირთად აწვება პედაგოგიურ კოლექტივს, მასწავლებლებს ხანგრძლივი შრომა სჭირდებათ, რათა მოაშლევინონ ასეთ მოსწავლეს ოჯახიდან გამოყოლილი მეტყველების ნაკლი, მათ შორის, განსაკუთრებით კუთხური ინტონაცია და გამოთქმები. (მაგალითად, ასეთი: „რეიზა არ წოულე აი წიგნი“, „ბალანას რავა გუუხარდება“, „მაახსენე“, „ავილევი“, „მოვაწყევი“ და სხვა).

ყოველი მშობელი ჯერ თვითონ უნდა ლაპარაკობდეს გამართულად და ამით მაგალითს აძლევდეს შვილებს და ისინიც, ყოველგვარი მითითების გარეშე, ამ მაგალითის საფუძველზე, თვითონვე დაეუფლებიან სწორ მეტყველებას. რადგან კარგად მოგეხსენებათ, რა ძალაც აქვს უფროსთა მაგალითს. „მაგალითი ყველა ქადაგებაზე ძლიერი და მჭევრმეტყველია“, — გვასწავლის ილია ჭავჭავაძე.

მშობელს ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ცოდნად არ ჩაითვლება ის ცოდნა, რომლის სიტყვიერად გადმოცემა მოსწავლეს არ ძალუძს. იგი ხშირად უნდა ამოწმებდეს შვილის მუშაობას იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ამზადებს იგი გაკვეთილებს, კითხულობს თუ არა სწორად, შეუძლია თუ არა წაკითხულის შინაარსის გადმოცემა, იცავს თუ არა ენის სიწმინდეს, სკოლაში შეთვისებულ სიტყვებსა და ტერმინებს წარმოთქვამს თუ არა დაუმახინჯებლად.

ყოველი შეგნებული მშობელი უნდა განამტკიცებდეს ყმაწვილის მიერ სკოლაში შეძენილ ჩვევებს, მიმართულს დედაენის ღრმად დაუფლებისაკენ, იმ შეგნებით, რომ რამდენადაც უკეთ ეცოდინებათ მოსწავლეებს დედაენა, იმდენად უფრო ადვილად აითვისებენ მეცნიერებათა საფუძვლებს, ადვილად დაეუფლებიან აგრეთვე სხვა ენებსაც, პირველ რიგში კი რუსულ ენას, რომლის ცოდნა ესოდენ აუცილებელია ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევები, როდესაც მშობლები, ბავშვთა სწორი მეტყველების აღზრდაში, არათუ მხარში უდგანან სკოლას, არამედ ეწინააღმდეგებიან კიდეც. დავასახელებთ ერთ მაგალითს: პირველი კლასის მოსწავლემ ნატომ ოჯახიდან კუთხური სიტყვებითა და არაქართული გამოთქმებით აჭრელებული მასალა მიიტანა სკოლაში. აქ მასწავლებლის დახმარებით მალე შეითვისა ნამდვილი ქართული სიტყვები: დედოფალა, მანქანა, ფანჯარა, მაგიდა, საწოლი. ნატომ სახლში გადმოიტანა ეს სიტყვები, მაგრამ დედამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ ფაქტს, პირიქით, დასცინა კიდეც შვილს. ამის გამო, გოგონა ისევ ძველ ლექსიკას დაუბრუნდა და თუმცა იცის, რასაც ნიშნავს ზემოთჩამოთვლილი სიტყვები, მაინც გაიძახის: „ჩემი კუკლები კრაოტზე დავაჯინე“, „დედამ აკოშკა გააღო“, „მაშინა მოვიდა“, „შკოლაში იოლკა მოიტანეს“ და სხვა.



საჭიროა ყველა ღონისძიება, ყველა აღმზრდელობითი ზომა იქით მივმართოთ, რომ აღვჭურვოთ ჩვენი შვილები მშობლიურ ენაზე სწორი მეტყველების მძლე იარაღით, რაც საშუალებას მოგვცემს ავღზარდოთ ყოვლმხრივად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად და ესთეტიკურად ამაღლებული თაობა, აღვზარდოთ ისე, როგორც დიდი ილია იტყოდა:

რომ წინ წაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათლებული!

სწორედ ეს არის საჭირო და აუცილებელი ჩვენს დიად მისწრაფებათა განხორციელების გზაზე.

**ილია მაისურაძე,**
**ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## მოდელიორის რჩევა

ლამაზად და გემოვნებით ჩაცმის სურვილი ბუნებრივია ნებისმიერი ასაკისა და აღნაგობის ქალისათვის, მაგრამ მსუქანი ქალისათვის ხშირად ეს ძნელად გადასაჭრელი ამოცანაა.

სპეციალური მოდა მსუქნებისა და ხანშიშესულებისათვის არ არსებობს, მაგრამ თუ მათ თვალყური არ ადევნეს მოდას და არ მისდიეს მას, თავისი მოძველებული ფორმის ტანსაცმელით კიდევ უფრო გამოააშკარავებენ თავის სისრულესა და ასაკს.

ამიტომ საჭიროა თითოეულმა ქალმა ზედმიწევნით ობიექტურად გაითვალისწინოს თავისი გარეგნობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და აიღოს მოდისაგან ის, რაც მას შეეფერება და დაეხმარება გამოავლინოს თავისი გარეგნობის ღირსებები.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მოდისათვის დამახასიათებელია ე. წ. „ახალგაზრდული“ სტილი, უკვე რამდენიმე წელია არ გამოდის მოდიდან სწორი და ოდნავ ტანზე მოყვანილი კაბების სილუეტი, რაც ასე ხელსაყრელია მსუქანი ქალებისათვის. მოხერხებულია აგრეთვე კომპლექტები — კაბა და პალტო, კოსტიუმი და პალტო, ჟაკეტი და კაბა, ასეთი ანსამბლები შეიძლება ერთი ფერით ან ტონალური შეხამებით იყოს გადაწყვეტილი. ძალიან უხდებათ მსუქან ქალებს კაბები მთლიანი აჭრილი თარგით და სქელი ქსოვილისაგან შეკერილი კაბა-სარაფნები, რომლის შიგნით შეიძლება ატარონ ნაირნაირი ბლუზები. ასეთ კაბებში ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ ვერტიკალურ ხაზებსა და გვირისტს, რაც ოპტიკურად აგრძელებს ტანს და ხდის უფრო მოყვანილს. ამგვარად, თუ ქალს სურს დამალოს ტანის სიმსუქნით გამოწვეული ნაკლოვანებები და მიმზიდველად, ელეგანტურად გამოიყურებოდეს, უნდა ერიდოს:

ძალიან ვიწრო ან განიერ კაბას,
ძალიან მოკლე ტანსაცმელს,
მხრებისა და მკლავების სიშიშვლეს,
გულისპირის დიდ ჭრილს ან სრულიად დახურულ კაბას მრგვალი საყელოთი, განიერ სარტყელს,
ქვედა ტანში ბლუზის ჩატანებას,
გამჭვირვალე ქსოვილებს,
მყვირალა ფერის, დიდრონი ნახატებით დაჩითულ ქსოვილს,
სამკაულების სიმრავლეს — ერთდაიმავე დროს ყელსაბამის, სამაჯურის, გულსაკიდის, საყურეების და ბეჭდების ტარებას, თუმცა ეს უკანასკნელი პირობა, საერთოდ, ყველა ქალმა უნდა დაიცვას — მსუქანმაც და გამხდარმაც.

**ლელი ხვედელიძე,**
**საქართველოს მოდელების სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.**



## ტანვარჯიში

## ზამთარია. .

ჯერ კიდევ ზამთარია, გარეთ ცივა, დილასაღამოს ყინავს. ასეთ ამინდში ადამიანს ქუჩაში გასვლაც ეზარება სოფელშიც და ქალაქშიც. სამსახურში მიმავალ ქალებს ერთი სული აქვთ, ავტობუსში შერგონ თავი. ვინც წინათ დილდილობით ტანვარჯიშს ასრულებდა, სიცივეში გაზარმაცდა. ჰოდა, სწორედ ახლა იმატებენ წონაში. ქონი უმეტესად თეძოებზე და კიდურების ზემო ნაწილში ლაგდება. ამიტომ, თუ გსურთ სიკოხტავე შეინარჩუნოთ, ჩაატარეთ შემდეგი სახის ვარჯიში:

1. დაიჩოქეთ, ტანი გამართეთ, ხელები ტანის გასწვრივ დაუშვით. ტანი ნელ-ნელა გადახარეთ უკან, კიდევ უფრო უკან, სანამდეც შეგიძლიათ. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში პირველ დღეებში 5-6-ჯერ შეასრულეთ, შემდეგ — 10-15-ჯერ.

2. ფეხის თითებზე აიწიეთ, მუხლები ოდნავ მოხარეთ, ხელები დაიჭირეთ წინამკლავში. ფეხის წვერებზე შემდგარმა, რამდენჯერმე შემოუარეთ ოთახს, ხან ჩაბუქნეთ, ხანაც მუხლები გამართეთ.

3. დაწექით იატაკზე მარცხენა გვერდზე. მარცხენა ხელი იდაყვში მოხარეთ და თავქვეშ ამოიდეთ. შეტყუპული ფეხები გამართეთ. ზოგჯერ ზედა ტანი წამოწიეთ (ისე, რომ მუხლები არ მოხაროთ) და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში ჩაატარეთ 8-10-ჯერ, მერე მხარი შეიცვალეთ და ვარჯიში ისევ გაიმეორეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა და ქალიშვილი

ძვირფასო ელი, ერთმა შემთხვევამ მაფიქრებინა შენთვის ეს წერილი მომეწერა.

ეს იყო გუშინ საღამოს, შენ მეგობრის დაბადების დღეზე მიგეჩქარებოდა. მე სწორედ მაშინ მოვედი თქვენსას, როცა დედა პალტოს ჩაცმაში გშველოდა.

ორივენი დიდი სარკის წინ იდექით, შენ — გაბრწყინებული სახით, დედა — გალიშებული. გახსოვს, რა სწრაფად იზრდებიან ბავშვებიო, რომ თქვა დედაშენმა. ის ამაყობდა თავისი მშვენიერი ქალიშვილით, მაგრამ მის სიტყვებში უკვე ხანში შესული ქალის დაფარული სევდაც მოისმოდა. შენ ეს არ შეგიმჩნევია, თორემ როგორ შეგეძლო ამ სიტყვებისათვის გულგრილად დაგემატებინა — დედები კი ბერდებიანო...

არ ვიცი, დაფიქრებულხარ თუ არა ოდესმე ამ სიტყვების შინაარსზე? დედა ხანში შევიდა. ეს შენ თვითონ შეამჩნიე, გუშინ, სარკის წინ. ეს იყო და ეს.

მაგრამ დღეს?

სახლში ჯერ ფეხი არ შემოგედგა, რომ სულმოუთქმელად დაიყვირე: „დაუთოებულია ჩემი კაბა?“ და რადგან სურვილი სწრაფად ვერ შეგისრულეს, აბუზღუნდი: „ცოტა ჩქარა არ შეგიძლია?“..

როცა დედა შეგეკითხა, საქმეები თუ მოაგვარეო, შენი პასუხი უხეში და დამამცირებელი იყო: „ოჰ, ნუ იცი ხოლმე კითხვების მოცემა, მაინც ხომ ვერაფერს გაიგებ!..“

შენ არც კი შეგინიშნავს, დედას სახელდახელოდ ნამცხვარი რომ გამოეცხო. იცოდა, საღამოს ამხანაგებს მოელოდი... არც ის შეგიმჩნევია, რომ ოთახი სუფთად იყო მილაგებული, შენი ხალათი კი გარეცხილი და დაუთოებული ეკიდა კარადაში.

შენ ის კი შეამჩნიე, რომ დედა ახალგაზრდა აღარ არის, მაგრამ დიასახლისობაში თანდათან ნაკლებს ეხმარები. შენ ყველგან თავაზიანად ამბობ მადლობას, როცა ვინმე სულ უბრალო სამსახურს გაგიწევს, მხოლოდ შინ არ გითქვამს არასოდეს ეს სიტყვა, დედისთვის არ გემეტება...

შენ სიამოვნებით დადიხარ გასართობად. აბა, ერთხელ თუ მოგაგონებია დედაც თან წაგეყვანა? გახსოვს, ყურიც აარიდე, ამას წინათ რომ თქვა დედამ, სიამოვნებით წავიდოდი კინოშიო...

შენ სხვაგან უფრო მოგწონს ყოფნა. გამოტყდი, რომ დედა ხანდახან გეთაკილება კიდეც. ამბობ, დედა გაუნათლებელია, ამას წინათ რომელიღაც უცხო სიტყვა ვერ გამოთქვა სწორად და ამხანაგებთან „შემარცხვინაო“. თავი მოგაქვს, რომ დედაზე უფრო განათლებული ხარ, უბრალო გულისხმიერების გამოჩენა კი „გავიწყდება“. რატომ არ უნდა ასიამოვნო დედას პატარა საჩუქრით, ისე, „რიგგარეშე“, დაბადების დღის გარდა? სულ პატარა რომ იყავი, აკი სიამოვნებით კრეფდი დედისათვის ყვავილებს?

რატომ არ შესთავაზებ ერთხელ მაინც შენთან ერთად წამოვიდეს კინოში, თეატრში ან კონცერტზე? რატომ ერიდები დედასთან მეგობრულ საუბარს უნივერსიტეტზე, ამხანაგებზე... ის ყველაზე უკეთ გაგიგებს და რჩევასაც მოგცემს, თუმცა დიპლომი არა აქვს... ის ხომ შენი დედაა.

გერმანული ჟურნალიდან „ფიურ დიხ“.

## რაზე იღიმებოდნენ წინათ

„უცნაური გამოცდა სცოდნიათ აფრიკელ ზანგებს იმ კაცებისა, რომელნიც ცოლის შერთვას განიზრახავენ. როდესაც ვინმე ცოლის შერთვას დააპირებს, იკრიბება სათათბიროდ და გამოსაცდელად სახალხო საბჭო: „მოხუცნი და ცნობილი მოქალაქენი“. კანდიდატი მოედანზედ გაჰყავთ. გააქვთ მოედანზედვე ცოცხალი ჭიანჭველებით სავსე ტომარა. აი ამ ტომარაში აყოფინებენ ბაწრით შეკრულ ხელებს კანდიდატს. იმას, ვინც დადებულ ვადას მოითმენს და ხელებს არ ამოიღებს ტომრიდან, ცოლის შერთვის ნება ეძლევა. ასეთ მომთმენ კაცს, საბჭოს აზრით, შეუძლიან იმ ტანჯვა-წვალებისა და უბედურების ატანა, რაც ცოლის შერთვას მოსდევს ხოლმე“.

**„ივერია“, 1900 წ. 2 დეკემბერი.**

აქვს თუ არა ნება ქალს — pardon! — ვაჟკაცის შარვალი ატაროს ქუჩაში — ამ საყურადღებო საკითხზედ აქვს სჯა ამჟამად რატიბორის სასამართლოს. ეს სჯა გამოუწვევია შემდეგს გარემოებას. აღდგომის წინა დღეს ერთს ახალგაზრდა ქვრივს ჩაუცვამს თავისის გარდაცვალებულის ქმრის ტანისამოსი. რადგან ეს ტანისამოსი ძალიან მოჰხდენია, ამ ქალს განუზრახავს ვაჟკაცის ტანსაცმლით საცეკვაო საღამოზედ დასწრება, გზაზედ ზოგიერთებს უცვნიათ და შეუტყობინებიათ საღამოზედ ეს ამბავი. რომ მისულა ქალი, იქ ისეთი ყურადღება მიუქცევიათ, რომ იძულებული შექმნილა მაშინვე უკან გამობრუნებულიყო. ხოლო ამითი არ გათავებულა საქმე, ყმაწვილ-კაცობა უკან დასდევნებია და სახლის კარამდე დაცინვითა და კიჟინით მიუცილებიათ. ამას გარდა სამართალში მიუციათ ყმაწვილი ქალი და სასამართლოს საზოგადოების წესიერებისა და მართებულობის დარღვევისათვის ათის დღით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია ქალისა. ყმაწვილი ქალი ამ გადაწყვეტილებაზედ არ დათანხმებულა და ამტკიცებდა თურმე, რომ ვერავინ დაუშლის ადამიანს ვაჟკაცის ტანისამოსის ტარებასაო. საკასაციო სასამართლოს ეს საბუთი არ შეუწყნარებია და საჩივარი უკანვე დაუბრუნებია ყმაწვილის ქალისათვის“.

**„ივერია“, 1888 წ. 25 აგვისტო.**

გარეკანზე — ოქრომჭედელ მ. ქუთათელაძის ნამუშევრები.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ძ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-98-71. გადაეცა ასაწყობად 18/XII 69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/I — 70 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 111.700. შეკვ. 3776. უე 01919. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»
Издательство ЦК КП Грузии.

# იგი უმღერის სიცოცხლეს

ქართველ კომპოზიტორ ქალთა პლეადას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დალი ჩხეიძის სახელიც ამშვენებს. მის შემოქმედებას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. ბევრი მისი სიმღერა, რომანსი, კამერულ-ინსტრუმენტული პიესა თუ საგუნდო ნაწარმოები შემსრულებელთა მუდმივ რეპერტუარშია, ხშირად ჟღერს ესტრადაზე, ან რადიოსა და ტელეგადაცემაში.

დ. ჩხეიძის შემოქმედება მხატვრული სახეებისა და შინაარსის მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანია. ორივე ჟანრი — ვოკალური თუ ინსტრუმენტული — მის შემოქმედებაში ერთნაირად მიმზიდველი და საინტერესოა. კომპოზიტორი უმღერის მშობლიურ ბუნებას, სიყვარულს, მეგობრობას, ყველაფერს, რაც ამდიდრებს და ალამაზებს ჩვენს ყოფას.

კომპოზიტორის შემოქმედებაში ლირიკული საწყისი სჭარბობს; მისი ნაწარმოებნი გულთბილი ლირიზმით არის გამსჭვალული, ლირიკულ-ყოფითი შინაარსის მხატვრულ სახეებს სითბო და უბრალოება ახასიათებს.

დ. ჩხეიძე თავის ნაწარმოებებში ხშირად გადმოგვცემს მშობლიური მხარისა და მისი ბუნების თავისებურ პოეტურ შეგრძნებას. პეიზაჟური ლირიკის ნიმუშად ჩაითვლება სიმღერა შერეული გუნდისათვის — „გაზაფხული" (ტექსტი ი. გრიშაშვილისა), საბავშვო სიმღერა „ენძელა" (ტექსტი დ. თურდოსპირელისა), რომანსი „ტბის ლერწამი" (ტექსტი ი. გრიშაშვილისა). ზოგჯერ ბუნების ელემენტი მხოლოდ ფონია კომპოზიტორის მრავალფეროვანი ლირიკული განწყობილების გადმოსაცემად. მის სიმღერებში — „პირველი თოვლი", „მეთხილამურის სიმღერა", „ჩიტი", „მოფრინდი, ჩემო მერცხალო", რომანსებში — „ნატვრა", „ვარდის ბუჩქი" — შეიგრძნობა კომპოზიტორის სულიერი ჰვრეტა, პოეტური ოცნება.

ლირიკული სითბოთია აღსავსე სამშობლოსა და თბილისის სიყვარულის თემაც. ასეთებია „სიმღერა სამშობლოზე" (ტექსტი შ. ამირანაშვილისა), „ელეგია" შერეული გუნდისათვის (ტექსტი ი. ჭავჭავაძისა), „თბილისის საღამო" (ტექსტი მ. ქელივიძისა).

სატრფიალო ლირიკა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაა დ. ჩხეიძის შემოქმედებაში. ამ მაღალ გრძნობასაც ავტორი თავშეკავებული, ნაზი პოეტური ფორმით გადმოგვცემს. ამ მხრივ საინტერესოა მისი დუეტი „პატარა სევდა" (ტექსტი ნ. ჩაჩავასი), უკვე ზემოთ ხსენებული „პირველი თოვლი", „მეთხილამურის სიმღერა" და მრავალი სხვა.

საბავშვო სიმღერა კომპოზიტორის ერთ-ერთი საყვარელი თემაა. სიმღერებს წერს ბავშვებზე, მათ ყოფაზე, ხასიათებზე, მათ მრავალფეროვან განწყობებზე. „ჩიტი", „მტირალა დედოფალა", „ჩემო ტკბილო ბებია", „ახალი დედოფალა", „დედას" — აი ქალის მაღალი ხმისათვის დაწერილი ის სიმღერები, რომლებსაც დიდი ხანია კარგად იცნობს ქართველი მსმენელი. ასეთივე სიყვარულით გამოირჩევა ბავშვთა ხმისათვის დაწერილი სიმღერებიც. ამ სიმღერებმა თავი მოიყარეს კომპოზიტორის ამას წინათ გამოცემულ კრებულში. მრავალფეროვნებაზე მეტყველებს სათაურებიც: „ავადმყოფი დედოფალა", „თუთიყუში", „წიწილა", „სკოლისაკენ", „ენძელა", „ნორჩ ფიზკულტურელთა სიმღერა". მასობრივი ჟანრისათვის დამახასიათებელი სილაღითა და უშუალობით გამოირჩევიან მოზარდებისათვის შექმნილი „მაისის სიმღერა", „მეზღვაური", „ახალგაზრდული" და სხვ.

ინსტრუმენტული ჟანრი დ. ჩხეიძის შემოქმედების ძირითადი სფეროა, მაგრამ კომპოზიტორს აქაც კამერული სტილი უფრო იზიდავს, რაც დიდი ფორმის ნაწარმოებებშიც იჩენს თავს. განსაკუთრებით საყურადღებოა მცირე ფორმის საფორტეპიანო და სავიოლინო ნაწარმოებები; მათში ყველაზე უფრო სრულყოფილად მჟღავნდება ავტორის შემოქმედებითი აზროვნების დამახასიათებელი თვისებები. ამ ნაწარმოებთა მხატვრული შინაარსის დიაპაზონი ნაზი, მსუბუქი ლირიკიდან სკერცოზულ-იუმორისტულ სახეებამდე აღწევს. აქ უნდა მოვიხსენიოთ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თხზულება „მუსიკალური მომენტი". ფორტეპიანოსათვის, რომელშიც დინამიკური ტემპერამენტი, ენერგიული სწრაფვა შეზავებულია ნათელ, სახოვან მელოდიზმთან. ყურადღებას იპყრობს ლირიზმით აღსავსე პრელუდია და პოემა, ვირტუოზული ხასიათის „ესკიზი" და სხვ. ყველა ეს ნაწარმოები შემსრულებელთა და მსმენელთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

საბავშვო სასწავლო რეპერტუარიდან დ. ჩხეიძის არა ერთი საფორტეპიანო ნაწარმოებია ცნობილი. ბავშვები მათ ხალისით ასრულებენ კლასშიც და ღია კონცერტებზეც. დ. ჩხეიძის ექვსი საბავშვო პიესა ფორტეპიანოსათვის: „ღიღინი", „ჭრიჭინა", „ელეგია", „მხიარული თამაში", „ლირიკული ცეკვა", „სევდიანი ფიქრები" — კარგახანია, რაც დაიბეჭდა. ამ კრებულში გათვალისწინებულია მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა ტექნიკური შესაძლებლობანი. ამასთან, იგი მოფიქრებულია ბავშვთა ასაკისათვის შესაფერისი მხატვრული შინაარსითა და სახეებით, თანამედროვეობითა და განწყობილებით.

სავიოლინო ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია „იუმორესკა", „მელოდია", „მინიატურა", „რომანსი", „ესკიზი" და სხვა. როგორც საფორტეპიანო მინიატურებში, ამ ლირიკულ პიესებშიც კარგადაა გამოყენებული საკრავის სპეციფიკა და შესაძლებლობანი.

დ. ჩხეიძე რამდენიმე ინსტრუმენტული კონცერტის ავტორიცაა. მეორე საფორტეპიანო კონცერტი უკვე დიდი ხანია მოზარდ შემსრულებელთა რეპერტუარში დამკვიდრდა. მას კარგად იცნობენ მოსკოველი მსმენელებიც, ხოლო რამდენიმე ხნის წინათ ეს კონცერტი უცხოეთშიც აჟღერდა ავტორისეული შესრულებით (ფირზე ჩანაწერი). საერთოდ, დ. ჩხეიძე საკუთარ ნაწარმოებთა პირველ შემსრულებლად გვევლინება. ავტორისეული ინტერპრეტაცია კარგ საშემსრულებლო ტრადიციებს უქმნის მის თხზულებებს.

1967 წლის მარტში დ. ჩხეიძე კიდევ ერთხელ წარსდგა მსმენელთა წინაშე, როგორც ნიჭიერი შემსრულებელი. თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მან თავისი ახალი — მესამე საპორტეპიანო კონცერტი შეასრულა სიმებიანი ორკესტრის თანხლებით (დირიჟორი რ. ხურცილავა).

სავიოლინო კონცერტინო ორკესტრის თანხლებით — ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მევიოლინეთა რეპერტუარშია.

კომპოზიტორის ინსტრუმენტულ კონცერტებს შორის უნდა აღინიშნოს სრულიად ორიგინალური ნაწარმოები ამ ჟანრში — კონცერტი ორი არფისათვის, ორკესტრის თანხლებით. იგი აგებულია ხალხური სიმღერის („ნეტავი, გოგო") თემაზე; რომელიც მრავალფეროვანი ვარიაციების სახით ვითარდება. ამ ჟანრის ბოლო ნაწარმოები — კონცერტი ალტისათვის ორკესტრის თანხლებით — კომპოზიტორმა კომკავშირის იუბილეს მიუძღვნა.

ბოლოდროინდელ ნაწარმოებთა შორის უნდა დავასახელოთ „კანტატა სამშობლოს" — შერეული გუნდის, სოლისტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (ტექსტი შ. ამირანაშვილისა). კანტატაში კიდევ ერთხელ გაცოცხლდა დ. ჩხეიძის საყვარელი მხატვრული მუსიკალური სახეები, რომლებიც კანტატის სხვადასხვა ნაწილებში იჩენენ თავს. აი ისინი: „ჰიმნი სამშობლოს", „ლაშქრული", „ლირიკული", „შენ იდღეგრძელე, სამშობლოვ", „სამშობლოვ, ტურფა", „ყვავილების მეჯლისი", „ისევ სალაშქროდ", „დიდება სამშობლოს". კანტატა პირველად შესრულდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა საგუნდო, სოლო და საბავშვო სიმღერებს. იგი შესანიშნავად შეასრულა თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა.

დ. ჩხეიძე საკომპოზიტორო და საშემსრულებლო მოღვაწეობასთან ერთად მრავალი წელია პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში.

**თამარ ხუროშვილი**



მუსიკა დალი ჩხეიძისა

ტექსტი იოსებ ნონეშვილისა

# ყვავილების მეჯლისი




ყური კუგდოთ ბილილების,
გვირილების ნაზად შრიალს.
ყვავილების ქვეყანაში
ყვავილების მეჯლისია

საქართველოს სიყვარულში
აბა, როგორ დავილღებით,
ზაფხულშიაც ყვავილები,
ზამთარშიაც ყვავილები!

ზოგი ლურჯად ილიმება,
საქართველოს ზეცასავით,
ზოგი ბროლის ნასხლეტია,
ზოგი მარჯნის შესადარი.

გაუმარჯოს, ვინც ამ დილით
გაულიმა სატრფოს ნაზად,
ვინც ყვავილი გულის ყვავილს
მოკრძალებით შესთავაზა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178











